

# Arabesque

BALLET MAGAZINE

საბალეტო მსახიობები

No1(18)12





**KSB**

ქობ  
სტანდატი  
ბანკი

☎ 55 00 00 [www.KSB.ge](http://www.KSB.ge)

ბონივხატი ატეხნატი

**ბიანო! ბიანო! ბიანო!**



ზაპარია  
ფალიაფილი სახელო  
თილილის  
**ოპერისა  
და  
ბალეტის**  
სახელო  
თეატრი

ზაუხიუ ფანიამილის სახელოის მოუხილა და ბალეტის  
სახელოფო თეატრის ბანეხაუხი სპონსორი



**სიკნეტი**  
**SILKNET**

ყველაფერი კავშირშია



# თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპონსორი

- სილქლაინი** თქვენი სახლის ტელეფონი
- სილქკომი** მაღალი სიჩქარის ინტერნეტი
- სილქტელი** თქვენი უკაბელო ტელეფონი
- სილქტივი** ახალი თაობის ინტერაქტიული ტელევიზია



# Arabesque

No1(18) 2012

Ballet Magazine

„არაბესკი“ ჟურნალი ბალეტზე



ზაქარია ფალიაშვილის სახელობის  
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის  
საბალეტო დასის ჟურნალი

MAGAZINE ABOUT THE BALLET COMPANY OF  
THE TBILISI Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET STATE THEATRE

გამოდის წელიწადში ორჯერ

Issued twice a year

საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი  
**ნინო ანანიაშვილი**

ARTISTIC DIRECTOR OF THE BALLET COMPANY  
**NINA ANANIASHVILI**

მთავარი რედაქტორი  
**ილია თავბერიძე**

Editor-in-Chief  
**ILIA TAVBERIDZE**

ინგლისური ტექსტების  
რედაქტორი

Editor of the English  
language version

**თორნიკე ხომერიკი**

**TORNIKE KHOMERIKI**

დიზაინი

Design by

**ბესიკ დანელია**

**BESIK DANELIA**

ფოტოგრაფი

Photographer

**ლადო ვაჩნაძე**

**LADO VACHNADZE**

გარეკანზე: ნინო ანანიაშვილი. „კიკალა სტუდიოს“ ფოტო  
On the cover: Nina Ananiashvili. Photo by Kikala Studio

ჟურნალში გამოყენებულია ფოტოები ნინო ანანიაშვილის პირადი არქივის,  
საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმისა  
და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის არქივის ფოტოები

Photographs are taken from Nina Ananiashvili's private archive, as well as archives  
of the Georgian Museum of Theatre, Cinema, Music and Choreography, and Tbilisi Opera  
and Ballet Theatre.

დაბეჭდა შპს „სეზონი“  
Printed in "Cezonne" Ltd

თბილისი, რუსთაველის გამზ. 25

25, RUSTAVELI ave. 0108, TBILISI, GEORGIA

ტელ/TEL: +995 32 235 75 03

ტირაჟი: 300

UDC (უბაკ) 792.8

A-70

ISSN 1512-3294

[www.ballet.ge](http://www.ballet.ge)

05 დავით საყვარელიძე  
David Sakvarelidze

08 ალექსეი ფადეეჩევი  
Alexei Fadeechev

10 ხულიო ბოკა  
Julio Bocca

12 ანხელ კორელა  
Angel Corella

14 სერგეი ფილინი  
Sergei Filin

16 მარსელო გომესი  
Marcelo Gomes

18 ხოსე მანუელ კარენიო  
Jose Manuel Carreno

20 ანდრეი უვაროვი  
Andrei Uvarov

22 იური პოსოხოვი  
Yuri Possokhov

24 კევინ მაკენზი  
Kevin McKenzie





- 26 ფრენკ ანდერსენი  
Frank Andersen
- 28 ანტონი რასელ-რობერტსი  
Anthony Russell-Roberts
- 32 ალექსეი რატმანსკი  
Alexei Ratmansky
- 34 ბენ სტივენსონი  
Ben Stevenson
- 36 ირინა კოლპაკოვა,  
ვლად სემიონოვი  
Irina Kolpakova,  
Vlad Semyonov
- 38 ვადიმ პისარევი  
Vadim Pisarev
- 40 ერიკ აშენგრინი  
Erik Aschengreen
- 42 დინა ბიორნი  
Dinna Bjørn
- 44 ნოელ და მერილის გონზაგა  
Noel and Marylis Gonzaga
- 46 უნიკალური არქივი  
Unique Archive

„სპეციალური ნომერი“ ყოველთვის რაღაც ძალიან განსაკუთრებულს ეძღვნება. ამ ნომრის განსაკუთრებულობას სასიამოვნო თარიღი განაპირობებს – ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე. ბევრი ვიფიქრეთ, რა უნდა გვეთქვა მოცეკვავეზე, რა მასალები უნდა დაგვებეჭდა პრიმა-ბალერინაზე, რომელმაც სცენაზე ეპოქა შექმნა. ჩვენს სათქმელს აშკარად აჯობებდა „არაბესკის“ ფურცლები მათთვის დაგვეთმო, ვინც სცენაზე ნინო ანანიაშვილის გვერდით წლები გაატარეს. ასე მოხვდნენ ამ ნომერში მისი ყოფილი პარტნიორების წერილები, იმ ქორეოგრაფების მილოცვები, რომლებიც მისთვის დგამდნენ ბალებებს. ცნობილი საბალეტო კრიტიკოსები, ბალეტმაისტრები, უბრალოდ მეგობრები, რომლებიც ჩვენი ნომრის ავტორები გახდნენ, იხსენებენ მასთან ერთად გატარებულ დღეებს, საინტერესო შეხვედრებს, სპექტაკლებისგან მიღებულ განუზომელ შთაბეჭდილებებს. პათეტიკისგან თავისუფალი ეს მასალები გვიამბობენ იმას, რაც ჯერ არ მოგისმენიათ და არსად წაგიკითხავთ.


საინტერესო და ორიგინალური მასალების ძიებამ საინტერესო არქივთან მიგვიყვანა. უნიკალური ფოტომასალა საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმში აღმოჩნდა დაცული. რეჟისორ ლანა ლოლობერიძის ფილმის – „აურზაური სალხინეთში“ უნიკალურ ფოტოკადრებში, ქართული კინოს ოსტატებთან და მის თანატოლებთან ერთად, 10 წლის ნინო ანანიაშვილიც მოხვდა. საინტერესო ერთი დეტალიც – პატარა მსახიობი გედის კოსტიუმშია გამოწყობილი. ფილმიც გემსსოვრებათ, სადაც იგი ძალზე საინტერესოდ ცეკვავს. ამ ფოტოებს, ისე როგორც აქ გამოქვეყნებულ ყველა წერილს, ნინო ანანიაშვილი პირველად სწორედ ჟურნალში ნახავს და წაიკითხავს.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი და საბალეტო დასი, ბალეტის ადმინისტრაცია უერთდება „არაბესკის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მილოცვებს. ვუსურვებთ ქალბატონ ნინო ანანიაშვილს შეეგრძნოს კიდევ მრავალი ბედნიერი წუთი – როგორც სცენაზე, ასევე სცენის მიღმა.

A “special issue” is usually dedicated to something significant. The significance of this issue is defined by a pleasant date – 30 years of Nina Ananiashvili on stage. We had much discussion about what we should write and what material should be printed about the prima ballerina who created an era on stage. It would clearly be more fitting to let those who spent years alongside Nina Ananiashvili, speak on pages of Arabesque about her. This is how the issue came to feature letters from her former partners and congratulations from choreographers who have staged for her. Well-known ballet critics, ballet masters, simply her friends – they all became authors of this magazine issue – recall their experiences with the ballerina, and tell of interesting meetings and unforgettable memories from performances. This material, free from any pathetic touch, speaks about something you have not heard or read anywhere.

Our search for interesting and fresh material brought us to an interesting archive of photo works preserved at Georgian Museum of Theatre, Cinema, Music and Choreography. Nina Ananiashvili, just 10 years old, can be seen on unique stills from film *Mess at the Merry Land* by director Lana Ghoghoberidze, alongside masters of Georgian cinema and kids of her age. What is also interesting is that she is dressed in a Swan costume. Some might also recall her interesting dance from the film. The photographs, as well as all the mentioned letters, will be seen by Nina Ananiashvili for the first time in the magazine.

Tbilisi Opera and Ballet Theatre and the ballet company administration join numerous congratulations presented on Arabesque pages and wish Nina to experience many more happy minutes – both on stage and off it.



ნინო ანანიაშვილი  
Nina Ananiashvili



წელი სცენაზე  
Years on Stage

16 მარტი 19:45  
MARCH

რუსთაველის თეატრი  
RUSTAVELI THEATRE

მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავების გალა-კონცერტი  
Gala Concert Featuring World Ballet Stars

18 მარტი 19:00  
MARCH





## დავით საყვარელიძე

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველი

აღარ მახსოვს ზუსტად რომელი წელი იყო, მაგრამ მახსოვს გაზაფხულის ერთი თბილი საღამო, მშვიდი და ამავე დროს სიცოცხლით სავსე. ჩემი ოჯახის წევრები, თითქმის ყველა, ტელევიზორის წინ მოკალათებულიყვნენ და რომელიღაც მნიშვნელოვან საინფორმაციო გამოშვებას ელოდნენ. საერთოდ ჩვენ ოჯახში ტელევიზიას და მის განვითარებას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, ამიტომ გამიკვირდა მშობლების და ახლობლების ასეთი ინტერესი. მახსოვს გავიფიქრე კიდევ: რას ელოდებიან მეთქი?!

ფართოდ გაღებულ ფანჯრებში ახლადგაკვირებული ხე მოჩანდა. იმ ხის სურნელიც კი კარგად მახსოვს.

ყველას წელიწადის სხვადასხვა დრო უყვარს.

მე გაზაფხულზე ვგიჟდები.

მაღე ხმებიც მომესმა: „ხმას აუწიეთ!“... „დათო, მოდი, იწყება!“...

ეკრანთან ახლოს მისვლა ოდნავ დავაგვიანე. შემდეგ საოცარი ჰანგები მომესმა. მუსიკამ მაგნიტივით მიმიზიდა. მე ხომ ყურით ვიხედები, სმენით აღვიქვამ სამყაროს.

მივირბინე ტელევიზორთან და დავინახე: მსხვილი ხედით აჩვენებდნენ ულამაზეს გოგონას პროფილში. თმა თეთრი გედის ბუმბულით ჰქონდა შემკული. ულამაზესი სახის ნაკვთები, საოცარი სინაზე და მთლიანად მუსიკაში ჩაღვრილი სხეული.

მუსიკის ასეთი სიზუსტით გაცოცხლება მანამდე არსად მინახავს.

არა... ეს ალბათ მომეჩვენა!

როგორ შეიძლება დაინახო მუსიკა?! მუსიკას ხომ ვერ ხედავ – უნდა უსმინო!!!

თქვენ წარმოიდგინეთ მუსიკას ვხედავდი და ვგრძნობდი, რომ იმ წუთში ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობდა.

ეს ულამაზესი გოგონა ცეკვავდა. სიტყვა „ცეკვა“ ვერ იტევს იმ საოცრებას, რასაც იგი ახდენდა სცენაზე.

ეს „სასწაული“ გახლდათ ნინო ანანიაშვილი!

გადმოსცემდნენ ვრცელ რეპორტაჟს ნინოზე, რომელიც უდიდესი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული გახდა. ეს მისი პირველი გამარჯვება იყო.

ნინო მსოფლიოში ერთადერთი ბალერინაა, რომელიც ოთხ უმაღლეს საერთაშორისო საბალეტო ჯილდოს ფლობს: ვარნის მე-10 საერთაშორისო

კონკურსის ოქროს მედალს (1980 წელი), მოსკოვის მე-4 და მე-5 საერთაშორისო კონკურსების გრან-პრის და ოქროს მედალს (1981, 1985 წლები), ჯეკსონის (აშშ) მე-3 საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის (1986 წელი).

ასე დავინახე პირველად ნინო და ზუსტად იგივე გრძნობებით ვივსები დღესაც, სცენაზე მისი ყოველი ხილვისას.

გავიდა წლები და ბედმა გამიღიმა, რომ ნინო ანანიაშვილთან ერთად თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში აღმოვჩნდი. წარმოიდგინეთ ყოველ დღე მაქვს საშუალება ვესაუბრო, ვნახო, დავესწრო მის ყოველდღიურ მუშაობას სარეპეტიციოში და რეპეტიციოში.

მინდა შევეცადო ამოვხსნა მისი შემოქმედების „საიდუმლო“, ის, თუ როგორ ახერხებს სცენაზე ასეთ სრულყოფილებას? თქვენ ალბათ მეტყვით, რომ თავდაუზოგავი მუშაობით! მართალიც იქნებით. ნინო მართლაც თავდაუზოგავად მუშაობს. მშვიდად, გააზრებულად, ფანატიზმამდე თავდაუზოგავად, მაგრამ მერწმუნეთ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. თავდაუზოგავად მსოფლიოში ბევრი მუშაობს, მაგრამ ის რასაც ნინო აკეთებს მხოლოდ ბუნებისგან რჩეულ ადამიანებს შეუძლიათ. ყოველგვარი გადამეტების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველები უზომოდ ნიჭიერები არიან. ალბათ ქართულ გენშიცაა საიდუმლო, რომლის ახსნასაც უკვე დიდი ხანია ვცდილობთ – ვახტანგ ჭაბუკიანი, ვერა წიგნაძე, ზურაბ კიკალიშვილი, არ დავგავიწყდეს ჯორჯ ბალანჩინი...

ნინო ანანიაშვილი პირველი იყო ყოფილი სსრკ ქვეყნებიდან, ვინც 1988 წელს, ანდრის ლიეპასთან ერთად, ბალანჩინის თეატრში (New York City Ballet) მიიწვიეს. მოსკოვის დიდ თეატრში ბალანჩინის ბალეტების დადგმა ნინო ანანიაშვილის ინიციატივისა და თავდადების შედეგია: მთავარი პარტია „მოცარტიანაში“, რომელიც ნინომ პირველად ამ თეატრში იცეკვა, თავად ლეგენდარულმა სიუზან ფარელმა შეასწავლა. ბალანჩინმა ეს ბალეტი ხომ სწორედ სიუზან ფარელისთვის შექმნა.

საბალეტო კარიერის მწვერვალზე მყოფი პრიმა-ბალერინა თავის სამშობლოში 2004 წელს დაბრუნდა. მისი ჩამოსვლა პირადად საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მოხდა. ნინო ჩვენი თეატრის საბალეტო დასს ჩაუდგა სათავეში და საბალეტო ხელოვნებაში ახალი ეტაპის დასაწყისს დაუდო სათავე. ამ მოკლე დროში დასმა 30-ზე მეტი ახალი სპექტაკლი დადგა. არა მხოლოდ კლასიკური რეპერტუარი, არამედ ნოვაციები ქორეოგრაფიაში: ბალანჩინის ფონდმა ჩვენი თეატრს უფლება მისცა გენიალური ქორეოგრაფის ათი ბალეტი დაედგა; ყოფილი სსრკ-ს სივრცეში ჩვენი თეატრი არის ერთ-ერთი პირველი, ვისაც ირუი კილიანმა თავისი ბალეტების ცეკვის უფლება მისცა; ფრედერიკ ეშტონის სპექტაკლების დადგმა ინგლისის სამეფო ბალეტთან (კოვენტ გარდენი) აქტიური თანამშრომლობით გახდა შესაძლებელი. მსოფლიოში ცნობილი თანამედროვე ქორეოგრაფები – ალექსეი რატმანსკი, იური პოსხოვი, თრეი მაკინტაერი, ფრენკ ანდერსენი და სხვები თანამშრომლობენ ჩვენს საბალეტო დასთან და მისთვის ექსკლუზიურადაც დგამენ სპექტაკლებს.

საბალეტო დასმა ათეულობით ქვეყანაში იმოგზაურა და უცხოეთს გააცნო ქართული ბალეტი. მომსწრე ვარ იმ დიდებული წუთებისა, როდესაც სპექტაკლის დასრულებისას აღფრთოვანებული მაყურებელი ხანგრძლივი ოვაციებით ეგებება ჩვენს მოცეკვავეებს. ნინოს კი, ყოველი სპექტაკლის ბოლოს, მხრებზე შემოხვეული საქართველოს დროშა გამოაქვს. მსოფლიოს წამყვანი გამოცემები ქართული ბალეტის გამოსვლებს მაღალ შეფასებებს აძლევენ. ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე კი მათ ჰერალდ ენჯელის ჯილდო დაიმსახურეს.

ნინოს რეპერტუარში 100-ზე მეტი საბალეტო პარტიაა. მათ შორის ბევრი პირველად (ბალეტებში „მარგარიტა და არმანი“, „ბუგაკუ“, „ჩაკონა“, „ბიზე ვარიაციები“) თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე იცეკვა. იგი დღესაც აგრძელებს ცეკვას. ახლა ჩვენი თეატრი ნინო ანანიაშვილის სცენაზე მოღვაწეობის 30 წელს აღნიშნავს.

ამ წლებს მე მნიშვნელობას არ ვანიჭებ. როცა ნინოს ვუყურებ სცენაზე, ისეთივე აღფრთოვანება მეუფლება, როგორც მაშინ, პირველად რომ ვნახე მისი ცეკვა.

მე ვფიქრობ, რომ მშვენიერებას დრო არ ეკარება!

სრულყოფილებასთან დრო უძღურია!

...ალარ მახსოვს ზუსტად რომელი წელი იყო, მაგრამ კარგად მახსოვს გაბაფხული იდგა.

ნინო ანანიაშვილი ჩემთვის გაბაფხულია!

## David Sakvarelidze

*Tbilisi Opera and Ballet State Theatre  
Manager*

I don't remember which year exactly this happened. I remember that it was a warm spring evening, quiet but lively. All of my family members snuggled in front of the TV set, waiting for some very important news programme to start. Generally, my family do not care much about television or its development, so I was surprised to see my parents' and other family members' interest. I was wondering what exactly they were expecting.

From our widely opened windows I could see a tree that had just broken into blossoms. I can even remember its fragrance.

We all love different seasons of the year.

Spring is my absolute favourite.

Soon I heard my folks saying, "turn up the volume!"...Dato, come, it's starting!"..

I slowly approached the TV screen and I heard an absolutely marvelous melody which ensnared me. I see from ears. I perceive the world by hearing.

I ran up to the TV set and saw a close up of an amazingly beautiful girl's profile. Her hair had been tied in a bundle of White Swan feathers. She had beautiful features, surprising gentleness and her body was moving in full unison with music.

I had never witnessed music coming to life with such precision.

No...this must be an apparition.

How could one possibly behold music?!

Music cannot be seen. It can only be heard!!!

Believe me, I could see and perceive the music and I could fathom no greater happiness than this at that moment.

This amazingly beautiful girl was dancing. The word "dance" cannot convey the miracle she was working on the stage.

This miracle was Nina Ananiashvili!

They were featuring a lengthy reportage about Nina who had just won a prestigious international competition. This was her first victory.

Nina is the only ballerina in the world who holds four highest international ballet awards: Golden medal at the 10th international competition in Varna (1980),



a grand prix and a golden medal at the 4th and 5th international competitions in Moscow (1981, 1985), and a grand prix at the 3rd international competition in Jackson, USA (1986).

This is how I saw Nina for the first time and every time I see her on the stage the same emotions overwhelm me.

Years went by and I was lucky enough to be given an opportunity to work with Nina Ananiashvili at the Tbilisi Opera and Ballet Theatre. Imagine, every day I have an opportunity to talk to her, see her and observe her everyday rehearsals.

Let me try to solve the mystery of her art, how she manages to create such perfection on the stage. You will probably tell me that all this comes through hard work and you will be right. Nina does work hard in her calm, intelligent and fantastic manner. But believe me this alone would not be enough. Many people in the world work hard but what Nina can accomplish can only be accomplished by a few select. I won't exaggerate a bit if I say that Georgian people are immensely gifted. I believe the mystery we have long tried to solve in part derives from the Georgian genealogy – Vakhtang Chabukiani, Vera Tsignadze, Zurab Kikalishvili, not to mention George Balanchine.

Nina Ananiashvili, alongside Andris Liepa, were the first artists to have been invited from the former Soviet countries to Balanchine's New York City Ballet in 1988. It was thanks to Nina's initiative and dedication that Balanchine's ballets were staged at the Bolshoi Theatre in Moscow. The leading role in Mozartiana which Nina performed at this theatre for the first time was taught to her by the legendary Suzanne Farrell. Balanchine had created this ballet specially for Farrell.

At the height of her ballet career, Nina returned to her homeland in 2004. Her return happened thanks to Georgian President Mr. Mikheil Saakashvili's personal initiative and support. Nina became the artistic director of our ballet company and laid the groundwork for a new era in the art of ballet. During the short period the company staged over 30 new performances. These included classical, as well as innovative ballets. The Balanchine Foundation allowed our company to stage ten of the great choreographer's ballets. Our company is one of the first in the former Soviet Union whom Jirí Kylián allowed to stage his



ballet. We managed to stage Frederick Ashton's performances through active cooperation with the British Royal Ballet (Covent Garden). World renowned modern choreographers – Alexei Ratmansky, Yuri Possokhov, Trey McIntyre, Frank Andersen and others cooperate with our company and stage performances for us.

Our ballet theatre toured dozens of countries and familiarized the world with Georgian ballet. I have witnessed happy moments when enthused spectators are greeting dances with a long-standing ovation. At the end of each performance Nina comes out with a Georgian flag wrapped around her shoulders. Leading publications give high credit to performances by the Georgian ballet theatre. It was awarded the Herald Engel award at the Edinburgh International Festival.

There are over 100 roles in Nina's repertoire. Many of them she danced at the Tbilisi Opera and Ballet Theatre stage for the first time (Marguerite and Armand, Bugaku, Chaconne, Bizet Variations). She continues her ballet career. Today our theatre marks the 30th anniversary of Nina Ananiashvili's performing career.

These years have diminished nothing. As I watch Nina on the stage, I am overcome by the same enthusiasm, as I was back then when I saw her dance for the first time.

I think beauty does not wither!

Time cannot affect perfection!

I do not remember which year exactly this happened but I do remember it was a spring day. Nina Ananiashvili is spring for me!



ნინო ანანიაშვილი  
Nina Ananiashvili

წელი სვენაზე  
Years on Stage



## ალექსეი ფადეეჩევი

*როსტოვის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო  
თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი  
მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერი, 1978-1998*

## Alexei Fadeechev

*Artistic director of Rostov State Opera and Ballet  
Theatre ballet company*

*Principal of Bolshoi Theatre of Moscow, 1978-1998*

ნინო პირველად როცა ვნახე, უკვე დიდი თეატრის სოლისტი ვიყავი და წამყვან პარტიებს ვცეკვავდი. ერთ დღეს, შემთხვევით, საბალეტო სასწავლებლის დილის კონცერტზე შევედი, რომელიც თეატრის სცენაზე იმართებოდა. ასეთი კონცერტებისათვის ჩვეულ საცეკვაო ნომრებში ერთი გოგონა გამოჩნდა სცენაზე, რომლის ცეკვაც სხვათაგან გამოირჩეოდა. მის მიერ შესრულებული ვარიაცია იმდენად სუფთა და მეტყველი იყო, რომ შოკირებული დავრჩი. მითუმეტეს, რომ მანამდე არც თეატრში და არც სკოლაში იგი არ მენახა. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ის საქართველოდან ახალი ჩამოსული იყო. შემდეგ ნინომ სკოლა დაამთავრა და დასში მიიღეს. პერიოდულად ერთად ვცეკვავდით. ის ბევრს მოგზაურობდა კონკურსებზე და ყოველთვის გრან პრიტი და ოქროს მედლით ბრუნდებოდა. მე თეატრის სხვადასხვა წამყვან ბალერინებთან ერთად ვცეკვავდი და გასტროლებზე დავდიოდი. გარემოების წყალობით ისე მოხდა, რომ ნინო პარტნიორის გარეშე დარჩა და უბრალოდ, პირდაპირ შემომთავაზა, მასთან მეცეკვა. შემოთავაზება სიამოვნებით მივიღე და ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა. ჩვენ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში ვიცეკვეთ მსოფლიოს საუკეთესო სცენებზე და მასზე უკეთესი პარტნიორი არ მყოლია. მასთან ცეკვა ყოველთვის ადვილი და სასიამოვნო იყო. ნინო ყოველთვის ცდილობდა, ყოველ ახალ გამოსვლაში მრავალფეროვნება და სიახლე შემოეტანა – შეეცვალა მოძრაობა ან პა დე დეს ფინალი, ან მისი საკუთარი ესკიზებით შექმნილ ახალ კოსტიუმებში გამოვსულიყავით სცენაზე. ეს გამორჩეული ბალერინა არასდროს იბღუდებოდა ჩარჩოებით, ის მუდმივად შემოქმედებითად ვითარდებოდა და ამას აკეთებს დღესაც. უკვე დიდი ხანია, რაც აღარ ვცეკვავ, მაგრამ აღტაცებით ვუყურებ ჩემი საუკეთესო პარტნიორის დამატყვევებელ ცეკვას. ის მშვენიერ ფორმაშია და მისი ცეკვის უშრეტე ენერჯია (როცა მის არაბესკებს, ნახტომებს, ფუეტებს, გრაციოზულ ჟესტებსა და შთამბეჭდავ პლასტიკას უცქერს) მაყურებელს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს. მინდა ნინოს ვუსურვო, კვლავაც გაახაროს თავისი მაყურებელი მთელს მსოფლიოში, რომლებიც გულშემატკივრობენ როგორც დიდ ბალერინას და საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელს, ყოველთვის დარჩეს მზრუნველ დედად ელენესათვის, კეთილ მეგობრად და ადამიანად

კიდევ 30 შემოქმედებითი წელი და იქნებ მეტიც!

The first time I saw Nina I was already soloist at the Bolshoi Theatre, dancing in leading roles. One day went to see a morning performance of the ballet school on the stage of the theatre. And amid customary dances there appeared a girl whose dancing distinguished her from other performers. Her variation was so clean and expressive that I was shocked! Especially considering that I had never noticed her in school or at the theatre. Later I learned that she had arrived from Georgia shortly before. She then graduated from the school and joined the company. We danced here and there, while she traveled a lot to contests and received grand prix and golden medals. I danced with various leading ballerinas of the theatre and toured with the company. At one moment she was left without a partner and simply approached me and asked if I would dance with her. I accepted with pleasure and that is how our friendship and partnership started. We performed for more than a decade on greatest stages of the world. It goes without saying that I had never had a better partner. Dancing with her was always easy and pleasant. She always strived to diversity and sought to introduce innovations in each performances. Altering her movements, or final scene, or coming out in new costumes made after her own designs. This remarkable ballerina never limited herself, developed her creative artistry and continues to do so to this day. I have stopped dancing a while ago, but I enjoy watching the mesmerizing dance of my best partner ever. She is in great shape and the inexhaustible energy of her dance takes audiences' breath away, watching her arabesques, pas de deux, fouette and other pas, her graceful gestures and impressive plasticity. I would like to wish Nina to continue to delight world audiences through her artistry as a great ballerina and as director of the State Ballet of Georgia, to stay a loving mother for her daughter Elene, a great, kind friend and person. Stay on the stage for 30 more years, and even more!





ნინო ანანიაშვილი  
Nina Ananiashvili

წელი სვენაზე  
Years on Stage

## ხულიო ბოკა

*ამერიკის ბალეტის თეატრის პრემიერი, 1986-2006*

## Julio Bocca

*Principal dancer of American Ballet Theatre, 1986-2006*



ნინო ჩემთვის მსოფლიო ბალეტის ერთ-ერთი უდიდესი ხელოვანია, არა მხოლოდ მისი უდავო ნიჭისა და ქარიზმის გამო სცენაზე, არამედ მისი გასაოცარი პიროვნების გამოც; მისი ცხოვრების წესის და დიდებული ბუნების გამო, რომლის წყალობითაც ყველას უყვარს მისი შემოქმედებისა და უნიკალური ტექნიკის გარეშე. იგი ყოველთვის კარგ ხასიათზეა და მზადაა, სხვებს დაეხმაროს, გვერდზე გადადოს დივას ან „აბსოლუტური პრიმა-ბალერინას“ პოზა. მე იგი მოსკოვის კონკურსის დროს გავიცანი, რომელზეც ჩვენ ორივე სხვადასხვა კატეგორიებში დაგვაჯილდოვეს. ის, რის გამოც მე აღფრთოვანებული ვიყავი ეს იყო მისი მკლავებისა და გრძელი ფეხების პლასტიურობა, მისი მოძრაობები და ენერჯია, რომლებსაც იგი თითქოს სცენის მიღმა სამყაროში გადაჰყავდა და გამუდმებით ჰაერში ალივლივებდა. ვფიქრობდი, რომ ვერასოდეს შევძლებდი მასთან ერთად მეცეკვა. იგი მეტისმეტად მაღალი და მიუწვდომელი მეჩვენებოდა.

მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, მას შემდეგ, რაც ნინომ ამერიკის ბალეტის თეატრში დაიწყო ცეკვა, ჩვენ ხშირად გვიცეკვია ერთად. მგონი, პირველად ეს იყო „გედების ტბაში“, ბედნიერი შემთვევის წყალობით: მისი პარტნიორი ავად გახდა და მე ამირჩიეს შემცვლელად. ამას სხვა წარმოდგენები მოჰყვა: „კორსარი“, „ღონ კიხოტი“... მაგრამ ამ ყველაფერს კიდევ ერთი ფაქტორი დამატა: 500-ჯერაც რომ გვიცეკვა, ყოველ ჯერზე განსხვავებული იყო. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ჩვენს შორის ყოველთვის ყალიბდებოდა ჯანმრთელი კონკურენციის თითქმის ბავშვური გრძობა. ჩვენ გამუდმებით ვცდილობდით ერთმანეთი გაგვეოცებინა.

დიახ, ნინო ყოველთვის რაღაც საოცარს ამატებდა თავის ქორეოგრაფიას, რითაც მე მიბიძგებდა ავყოლოდი და ან რამე მსგავსი, ან უკეთესი გამეკეთებინა. ეს კი იმდენ ადრენალინს გამოყოფდა სცენაზე, რომ ჩვენი კოლეგები ჩვენზე უფრო აღფრთოვანებულნი შეჰყურებდნენ ჩვენს ცეკვას, იმას, რომ სცენაზე სიგჟუებს ვახდენდით და ჩვენი წარმოდგენა მაყურებელსაც ატყვევებდა. ცეკვას ყოველთვის სუნთქვაშეკრულები ვასრულებდით, დაქანცულები, მაგრამ ბედნიერები, თითქოს სცენაზე კი არა, საბავშვო ატრაქციონებზე დავქროდით. არ ვიცი, ამ ყველაფრის რამდენი ჩანაწერი არსებობს, ან არსებობს თუ არა ჩვენი ცეკვის ჩანაწერები საერთოდ. მახსოვს, ერთხელ ნინოს ბენ სტივენსონის „თოვლის ქალწული“ უნდა ეცეკვა და მისი პარტნიორი დაშავდა. რასაკვირველია, მე იქ ვიყავი და მზად ვახლდით იგი შემეცვალა, რაც გავაკეთე კიდევ. ეს ულამაზესი წარმოდგენა იყო და საბედნიეროდ, მაყურებელს შეუძლია იგი ნახოს, რადგან მისი ჩანაწერი ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება. თუმცა, ერთ რამეში დავალეებული ვარ ნინოსთან, რადგან იგი ბუნოს აირესში ვერ ჩამოვიყვანე ჩემთან ერთად რომ ეცეკვა. როცა კი ამას გადავწყვეტდით, ყოველთვის რაღაც დაბრკოლება ჩნდებოდა. მისი უცხოეთში გამოსვლების გრაფიკი ჩემსას არ ემთხვეოდა, ან როცა ყველაფერს მოვაგვარებდით, მე ვხდებოდი ავად და ცეკვა არ შემეძლო. ბოლოს კი, როცა ყველაფერი მოვაგვარეთ, საბედნიეროდ, ნინომ აღმოაჩინა, რომ ორსულად იყო.

მაგრამ, საბედნიეროდ, როდესაც სცენას დავემშვიდობე და ბუნოს აირესში, ღია ცის ქვეშ, გამოსამშვიდობებელი კონცერტი ჩავატარე, ნინომ შეძლო ჩამოსვლა და ჩვენ ბედნიერება გვხვდა წილად, ერთად გვიცეკვა „შავი გედი“ ჩემი თანამემამულეების, 300 000-ზე მეტი ადამიანის, წინაშე, რომელთაც ნინოს ცოცხალი შესრულება არასოდეს ენახათ. ეს დიდებული საღამო იყო, რომელიც, საბედნიეროდ, DVD-ზე ჩაიწერეს. მე ყოველთვის მადლობელი ვიქნები მისი იმისთვის, რომ მან ჩემი, როგორც მოცეკვავის, კარიერის ბოლო დღე, ჩემთან ერთად გაატარა.

Nina is for me one of the great artist from the world of dance, not only for her undeniable talent and charisma on stage, but also for her extraordinary personality, her way of being and wonderful nature, which makes everyone appreciate and love her beyond her art and unique technique. She always is in a good mood and ready to help others, leaving aside any attitude of diva or “prima ballerina assoluta”. I met her at the Moscow Competition, where both of us won medals in our categories, and the same reasons that made me to admire the plasticity of her arms and long legs, her movements and energy that seemed to make her go beyond the stage and remain her suspended in the air all the time, they were also which made me think in that moment that I could never dance with her. I saw her very high and unattainable.

But fortunately for me, since she started dancing with the American Ballet Theatre we could dance together many times. The first it was Swan Lake, I think, and due to a fortuitous circumstance: her partner had hurt and I was chosen to replace him. Since then followed many performances of that same Ballet, Le Corsaire or Don Quixote, but with an extra ingredient: if we made 500 times, none of them was the same as the previous one. And this was because between us always developed an almost childish game of healthy competition. We always had the need to surprise the other. Yes, Nina added surprisingly something extra to her choreography, forcing me to get along and do something similar or better, and that released such adrenaline on the stage that our fellows at ABT were even happier than us seeing our dancing and doing some crazy things on stage, which also made cry to the audience. We always finished without breath, exhausted but very happy as if we had been on a roller coaster instead of on stage. I don't know how many recordings there are, if any, about what we have danced together. I remember once Nina had to dance The Snow Maiden by Ben Stevenson and her partner was injured. Of course, I was there, ready to cover him and I did it. It was a beautiful performance and luckily the public can continue to enjoy it because there is a record on DVD in the New York public library. The only debt I had with Nina, it was not having brought her to Buenos Aires to dance with me. Provided that we tried, always something stood. Her international commitments that did not coincide with the dates I had or when we had all fixed I finished injured and could not dance, or the latter circumstance which luckily was for something happier: we had everything arranged and Nina discovered she was pregnant.

But fortunately, when I programmed my farewell in Buenos Aires, Argentina, with an open air performance on the 9 de Julio Avenue, Nina could come and we finally had the pleasure of dancing Black Swan for the last time for the audience of my country, more than 300,000 people, who had never seen her to perform live. It was a glorious evening, which fortunately was recorded on a DVD and I will be eternally grateful for having shared with me my last day a dancer.

ნინო ანანიაშვილი  
Nina Ananiashvili



წელი სვენამე  
Years on Stage



# ანხელ კორელა

ამერიკის ბალეტის თეატრის პრემიერი

## Angel Corella

Principal dancer of American Ballet Theatre

ამერიკის საბალეტო დასში ერთი წელიც არ იყო რაც ვმუშაობდი, როდესაც გამიმართლა და არა მხოლოდ შეხვედნი ქალბატონ ნინო ანანიშვილს, არამედ მასთან ერთად ვიცეკვე კიდევ „თოვლის ქალწულში“. ეს შეხვედრა გარდამტეხი აღმოჩნდა ჩემს კარიერაში – არა მხოლოდ იმიტომ, რომ როგორც მოცეკვავებ მისგან, შემოქმედებითი თვალსაზრისით, ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, არამედ იმ უპირობო გულუხვობის გამოც, რასაც იგი ჩემ მიმართ იჩენდა. მისგან ბევრი რამ ვისწავლე, მაგალითად, როგორ უნდა ვიყო უკეთესი პარტნიორი, ან როგორ უნდა შევეგუო ნიუ-იორკში ცხოვრებას. მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და ისეთი ვარსკვლავისაგან, როგორც ნინო იყო, ამხელა ყურადღება, ჩემთვის ძალიან შთაბეჭედავი იყო. ამისთვის ყოველთვის მადლობელი ვიქნები მისი. წლების განმავლობაში მასთან ერთად არაერთ საბალეტო წარმოდგენაში ვიცეკვე: „გედების ტბა“, „სილფიდა“, „მოცარტიანა“ და სხვა მრავალი. მე და ნინო უნიკალურად ვუგებთ ერთმანეთს სცენაზე. ვიცი, რომ ყოველთვის მომყვება და ჩვენ მიერ ერთად ნაცეკვ სხვადასხვა როლებში ემოციურად ერთ ადგილზე ვართ. იგი აღიარებულია, როგორც მსოფლიო დონის ვარსკვლავი, მაგრამ ამ ყველაფრის მიღმა იგი მზრუნველი და მომხიბვლელი ადამიანია, რომელიც ყოველთვის მზადაა, დახმარების ხელი გაგიწოდოს. ის ყოველთვის კარგ ხასიათზეა და ენერგიითაა სავსე... ეს კი ერთობ იშვიათი თვისებაა.

გასაოცარია ის, რასაც მან საქართველოს სახელმწიფო საბალეტო დასში მიაღწია. მან თავისი, როგორც მოცეკვავის, გასაოცარი გამოცდილება ამ დასის ხელმძღვანელობას მოახმარა და იგი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ საბალეტო დასად ჩამოაყალიბა. ყოველთვის მემახსოვრება ის დრო, როდესაც ამ დასთან ერთად ვიცეკვე იაპონიაში და რამდენიმე წლის წინ, თბილისში. ნინოს და საქართველოს სახელმწიფო ბალეტს მომავალ წარმატებებს ვუსურვებ.

ნინოს, მის ოჯახსა და დასს ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ.

„შიზელი“.  
ნინო ანანიშვილი,  
ანხელ კორელა.  
ამერიკის ბალეტის  
თეატრი

*Giselle.*  
Nina Ananiashvili,  
Angel Corella.  
American Ballet  
Theatre

თეონა ახობაძე,  
ლალი კანდელაკი,  
ნინო ანანიშვილი,  
ანხელ კორელა.  
ტოკიო. 2007

Teona Akhobadze, Lali  
Kandelaki,  
Nina Ananiashvili,  
Angel Corella.  
Tokyo. 2007

After working with the American Ballet Theatre for less than a year I was fortunate to have the opportunity to not only meet Mrs. Anianashvili, but also to be able to dance with her in a ballet called The Snow Maiden. That experience proved to be a turning point in my career not only from what I learned from her artistically as a dancer but also because of the unconditional generosity that she showed to me. I learned so many things from her like how to be a better partner or how to adapt to living in New York. I was very young at the then and to receive that kind of attention from a true star like Nina was impressive. I will always be thankful to her for that. Over the years I have danced so many different ballets with her; Swan Lake, La Sylphide, Mozartiana and many others. The connection that Nina and I have on stage is unique. I know that she will always follow me and that we are always at the same place emotionally in the various roles that we have danced together. She is recognized as an international star but behind all of that she is caring and sweet person always willing to help if she can, positive and full of energy... that is something that you don't find every day.

I find it admirable what she has achieved with the State Ballet of Georgia, applying her incredible experience as a dancer to directing a company and turning it into one of the most recognized companies in the world. I will always remember the times that I have been able to dance with the company in Japan and a few years ago in Tbilisi and I look forward to what the future will bring her and the State Ballet of Georgia.

I wish her all of the best to her, her family and to her company.



ნინო ანანიაშვილი  
Nina Ananiashvili



წელი სცენაზე  
Years on Stage



11 Arabesque



## სერგეი ფილინი

მოსკოვის დიდი თეატრის საბალეტო დასის  
სამხატვრო ხელმძღვანელი

მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერი, 1990–2004

ძვირფასო ნინო!

მიიღე ჩემი გულითადი მილოცვა შენს  
შემოქმედებით იუბილესთან დაკავშირებით!

მე მქონდა ბედნიერება, შენთან ერთად მეცეკვა  
მრავალ სპექტაკლში, რომლებმაც დიდი თეატრის  
იმ პერიოდის ბრწყინვალე რეპერტუარი შეადგინეს.

შენ უნივერსალური პრიმა-ბალერინა ხარ!

პეტიპა, ივანოვი, ბურნონვილი, პიერო, სენ ლეონი,  
ლავროვსკი, გრიგოროვიჩი, რატმანსკი, ბალანჩინი,  
ეშტონი, მაკმილანი – შენს რეპერტუარში  
მსოფლიო ქორეოგრაფიის შედეგების დიდი  
სიაა! შენ დიდი პროფესიონალი ხარ, მანათობელი,  
განუმეორებელი ინდივიდუალობით! ნაზი,  
ეგზოტიკური ყვავილი, ტემპერამენტული, მსუბუქი  
გაზელი, რომელიც ყველას უყვარს და რომლის  
ნახვაც ყველგან სურთ! მსოფლიო თეატრების  
მშვენიერებას წარმოადგენ და ყველგან, სადაც  
გამოდიხარ, ყველაზე ძვირფას მოგონებებს ტოვებ!

შენთან მეგობრობა დიდი სიხარული და  
სიამოვნებაა!

იმედი მაქვს, რომ ჩვენი დიდი ხნის  
მეგობრობა სამუდამოდ შეინარჩუნებს სიბოხს და  
გულწრფელობას!

გისურვებ ბედნიერებას, წარმატებას  
შემოქმედებასა და ცხოვრებაში და ყველაფერს  
საუკეთესოს ოჯახისთვის!

დარჩი ყოველთვის ასეთი თბილი, კეთილი,  
მომხიბვლელი და მანათობელი!

## Sergei Filin

Artistic director of Bolshoi Theatre Ballet Company  
of Moscow

Principal of Bolshoi Theatre of Moscow, 1990–2004

Dear Nina!

Please accept my heartfelt congratulations  
on your artistic anniversary!

I have been fortunate enough to be your  
partner in many performances which made  
brilliant Bolshoi repertory at that time.

You are a universal prima ballerina! You  
can do it all! Petipa, Ivanov, Bournonville,  
Perrot, St. Leon, Lavrovsky, Grigorovich,  
Ratmansky, Balanchine, Ashton, MacMillan  
– you have danced in a great number  
of masterpieces of world choreography  
throughout your career! You are a great  
professional and a shining, unique individual!  
A soft, exotic flower, a temperamental  
Gazelle, who is loved and welcomed  
everywhere! You are a real treasure for  
many theatres of the world and leave your  
spectators with most cherished memories!

Your friendship is always a source of great  
joy for me!

I hope that our long-standing friendship  
will retain this warmth and sincerity forever!

Wish you happiness, success in your work  
and life, and well-being of all of your family!

Stay sweet, kind, charming and radiant!

ნინო ანანიაშვილი,  
სერგეი ფილინი.  
„ფარაონის ასული“  
Nina Ananiashvili,  
Sergei Filin. The  
Pharaoh's Daughter

ნინო ანანიაშვილი,  
სერგეი ფილინი.  
„ჩაიკოვსკი პა დე დე“  
Nina Ananiashvili,  
Sergei Filin.  
Tchaikovsky Pas de  
Deux

ფრენკ ანდერსენი,  
ნინო ანანიაშვილი,  
სერგეი ფილინი,  
ელენე ვაშაძე.  
2010. თბილისი

Frank Andersen,  
Nina Ananiashvili,  
Sergei Filin,  
Elene Vashadze.  
2011. Tbilisi



ნინო ანანიაშვილი  
Nina Ananiashvili



წელი სვენამე  
Years on Stage



ნინო ანანიაშვილი,  
მარსელო გომესი  
„კორსარი“  
Nina Ananiashvili,  
Marcelo Gomes  
*Le Corsaire*

ნინო მთელს მსოფლიოში იმდენი ხელოვანისთვის წარმოადგენს შთაგონების წყაროს, რომ ჩემთვის რთულია რამდენიმე სიტყვით გადმოვცე ის, თუ რა მნიშვნელოვანია იგი საბალეტო სამყაროსთვის და პირადად ჩემთვის.

ნინო კორდებალეტში ყოფნის დროს გავიცანი. მაშინ ახალგაზრდა გახლდით. მე განცალკევებით ვიდექი და აღფრთოვანებული ვუყურებდი მის საოცარ მომხიბვლელობას და სცენის ფლობის მისეულ გამოვლენებელ უნარს. წლების შემდეგ, როდესაც მე ბედნიერება მხვდა წილად მისი პარტნიორი ვყოფილიყავი, მახსოვს, როგორი აღელვებული ვფიქრობდი – „აი, რას ნიშნავს იცეკვო ასეთ სრულქმნილ ხელოვანთან ერთად“.

ნინოსთან პარტნიორობამ შემძინა თვითრწმენა, თავდაჯერებულობა და სპონტანურობა, რომელსაც დღემდე ვატარებ. უფრო პიროვნულ დონეზე კი მასთან ერთ სცენაზე გამოსვლის არაერთი ძვირფასი წუთი მაგონდება. ჩვენი წარმოდგენების დროს ისეთ ბალეტებში, როგორიცაა „კორსარი“, „გედების ტბა“ და „ჟიზელი“ ხშირად მქონდა გრძნობა, თითქოს მხოლოდ მე და ნინო ვიყავით სცენაზე და მაყურებელი შემთხვევით გახდა ჩვენი სიყვარულის ისტორიის მოწმე. ეს რეალობის მსგავს ზღაპარს ჰგავდა.

ვინც ნინოს იცნობს, იცის, რომ თავისი მხიარული და ენერგიული პიროვნების წყალობით, მას უნიკალური და გასაოცარი უნარი აქვს, დარბაზში ყოველი ადამიანის გულს მიწვდეს. იგი ერთნაირად გულწრფელი და ნამდვილია სცენაზეც და სცენის მიღმაც. მე აღფრთოვანებული ვარ ამით. მისი მხიარულება, სიცოცხლისა და ცეკვის სიყვარული მართლაც გადამდებია.

დიდი მადლობა, ნინო... იმისთვის, რომ ხარ ასეთი ხელოვანი და ასეთი ადამიანი; იმისთვის, რომ შენი მხარდაჭერის წყალობით ჩამოვყალიბდი იმ ხელოვნად და ადამიანად, როგორც დღეს ვარ. ყოველთვის, როცა ვიგონებ ჩვენ მიერ სცენაზე გატარებულ წუთებს, მახსენდება, რატომ მიყვარს ცეკვა.

მიყვარხარ, ნინო! გილოცავ, იუბილეს!

Nina has inspired so many artists from all over the world, that it's hard to sum up in mere words what she means not only to this art form, but to me.

I first met Nina as a young man in the corps de ballet; all I could do was stand on the sidelines and marvel at her incredible sweetness, her charm, her uncanny command of the stage. Years later, when I was fortunate enough to become her partner, I remember feeling a bit overwhelmed, thinking, "So this is what it's like to share the stage with such a consummate artist."

It was through my partnership with Nina that I learned the confidence, security, and spontaneity that I take with me to this very day. On a more personal level, many of my very fondest memories are of sharing the stage with her. There were so many times during our performances of *Le Corsaire*, *Swan Lake* and *Giselle* when it felt as if it was just Nina and I out there, and the audience just happened to be bearing witness to our love story. It was like a real-life fairy tale.

All of us who know Nina know that she has the most unique and wonderful way of touching the hearts of each and every person in a room with her cheerful and spirited personality. She is the supreme example of someone who is as genuine onstage as they are off. I have such admiration for that. Her joy and love of life and of dance are truly infectious.

Nina, thank you... both for being the artist and person that you are, and for being so instrumental in helping to shape me into the artist and person that I have become. Each and every time I think back to the moments we've shared together, I am reminded of why I love to dance.

I love you, Nina! Happy Anniversary!!!

## მარსელო გომესი

ამერიკის ბალეტის თეატრის პრემიერი

## Marcelo Gomes

Principal dancer of American Ballet Theatre

ნინო ანანიაშვილი, მარსელო გომესი. „ჟიზელი“  
Nina Ananiashvili, Marcelo Gomes. *Giselle*

ნინო ანანიაშვილი, მარსელო გომესი და ანხელ კორელა. ამერიკის ბალეტის თეატრთან გამოსაშვადობებული სპექტაკლის შემდეგ. 2009 წ. 27 ივნისი მეტროპოლიტენ თეატრი

Nina Ananiashvili, Marcelo Gomes, Angel Corella.  
After the farewell ABT performance. June 27, 2009.  
Metropolitan Opera



ნინო ანანიაშვილი  
Nina Ananiashvili



წელი სვენამე  
Years on Stage



## ხოსე მანუელ კარენიო

ამერიკის ბალეტის თეატრის პრემიერი, 1995-2011

## Jose Manuel Carreno

Principal dancer of American Ballet Theatre, 1995-2011

ბოლო 15 წლის განმავლობაში, რაც ნინოსთან ვმუშაობ, ის არა მხოლოდ არაჩვეულებრივი პარტნიორი იყო, არამედ დიდებული მეგობარიც. როცა კი მასთან ერთად ვცეკვავ, შთამაგონებს მისი ენერჯია, სპონტანურობა და სულისკვეთება. ჩემთვის დიდი პატივია ნინოსთან ერთად ცეკვა ამ დიდებული მოვლენის დროს.

For the last 15 years I have worked with Nina, she has not only been a wonderful partner but also a great friend. Every time I have danced with her I am inspired by her energy, spontaneity, and spirit. It is an honor to be dancing with Nina on this wonderful occasion.



ნინო ანანიაშვილი, ხოსე მანუელ კარენიო. „რაიმონდა“  
Nina Ananiashvili, Jose Manuel Carreño. *Raymonda*





ნინო ანანიაშვილი  
Nina Ananiashvili

წელი სცენაზე  
Years on Stage

ანდრეი უვაროვი

მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერი, 1989-2011

Andrei Uvarov

Principal of the Bolshoi Theatre of Moscow, 1989-2011



ნინო ანანიაშვილი, ანდრეი უვაროვი. „რომეო და ჯულიეტა“  
Nina Ananiashvili, Andrei Uvarov. *Romeo and Juliet*

ნინო ანანიაშვილი – ეს სახელი ბავშვობიდან ცნობილი იყო ჩემთვის. მოსკოვის აკადემიურ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, როცა კლასიკური ცეკვის გაკვეთილზე მივდიოდი, მოზადობული შევეყურებდი ანანიაშვილისა და ლიეპას ფოტოებს, რომლებიც სტენდზე ეკიდა. დიდ თეატრში მისვლისას, როცა უკვე ახალგაზრდა მოცეკვავე ვიყავი, სუნთქვაშეკრული ვუცქერდი „ჟიზელს“ ნინოსა და ალექსეი ფადეეჩევის შესრულებით. სცენაზე ნამდვილი ხელოვანები იდგნენ. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ცხოვრება ასე დამასახუქრებდა და ამ სპექტაკლს ნინოსთან ერთად ვიცეკვებდი.

ჩვენი შემოქმედებითი გზა პირველად სრულებით უჩვეულო პროექტში გადაიკვეთა – ეს იყო გრიგოლ ვაშაძის პროექტი „სიზმრები იაპონიაზე“, რომელსაც ალექსეი რატმანსკი დგამდა. ნინოსთან უშუალო დუეტი არ მქონდა, თუმცა ერთობლივმა მუშაობამ, ერთიანმა შემოქმედებითმა პროცესმა მისი ადამიანური თვისებები დამანახა. ჩემთვის აღმოჩენა იყო, რომ მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავს შეეძლო, ასე კეთილად და გულწრფელად მიეღო მონაწილეობა ახალგაზრდა მოცეკვავის შემოქმედებითი ჩამოყალიბების პროცესში. ასე გავიცანით ერთმანეთი.

ჩვენ ერთად ბევრი ბალეტი ვიცეკვეთ: „ბაიადერა“, „ლეა“, „ჟიზელი“, „რაიმონდა“, „მძინარე მზეთუნახავი“, „გედების ტბა“, თუმცა ცალკე მინდა გამოვყო ორი ბალეტი – „დონ კიხოტი“ და „რომეო და ჯულიეტა“. მკაცრად კლასიკური პარტიების შესრულების შემდეგ ვფიქრობდი, რომ „დონ კიხოტში“ ბაზილის პარტია ჩემს ამბულუს არ შეეფერებოდა. თუმცა ნინომ არა მხოლოდ გადამარწმუნა, რომ ეს პარტია უნდა მეცეკვა, არამედ სრულიად უჩვეულო ერთობლივი სპექტაკლი შექმნა. მას შეუძლია საკუთარი ენთუზიაზმი და ენერგიულობა არა მხოლოდ პარტნიორებს, არამედ მასთან ერთად სცენაზე მყოფ ყველა მსახიობს გადასდოს. ნინოს მონაწილეობით სპექტაკლმა სახე იცვალა და ყველა დანარჩენისგან გამოირჩეოდა. ნინოს ტალანტის მიმართ გულგრილი ვერავინ რჩებოდა ვერც სცენაზე, ვერც მაყურებელთა დარბაზში.

სპექტაკლის შემდეგ, რეპეტიციებზე სრულიად უღონო მდგომარეობაში მყოფისთვის ჩემს გაოცებას იწვევდა, როგორ შეეძლო ნინოს უბრალო მეგობრულ საუბარში დაევიწყებინა დაღლა. შემდეგ კი ეს მშვიდი ურთიერთობა სარეპეტიციო პროცესში გადაეყვანა, როდესაც უკვე ყველაფერი გავიწყდებოდა და ახალ სიმაღლეებს იპყრობდი დიდი პედაგოგების რაისა სტრუჩკოვას და ნიკოლაი ფადეეჩევის მეთვალყურეობის ქვეშ. და როგორი პარტნიორია ნინო! საოცნებო! შეუძლია, შეუმჩნეველი მოძრაობითაც კი მიხვდეს შენს აზრებს და მაშინვე მოახდინოს მათზე რეაგირება. სცენაზე ეს იშვიათი უნარია! მასთან მალალი, რთული ე.წ. „პადერჟკების“ შესრულებაც კი იოლი და მოხერხებული იყო. ნინო ყოველთვის პარტნიორზე ფიქრობდა.

დაუვიწყარია ჩემთვის ნინოს პარტნიორობა „რომეო და ჯულიეტაში“ ლეონიდ ლავროვსკის დადგმაში. როცა მის თვალებს ვუცქერდი საკუთარი თავი ახალგაზრდა შეყვარებული ყმაწვილი მეგონა და ამ ბალეტის ყველა რთული პა შექსპირისეული ვნებების გრიგალში ქრებოდა. გვერდით არა ნინო ანანიაშვილს, არამედ ახალგაზრდა ჯულიეტას ვხედავდი, რომლის გულისთვის სიცოცხლის გაღებისთვისაც მზად ვიყავი.

ნინო არა მხოლოდ თანამედროვეობის დიდი ბალერინა, არამედ შესანიშნავი მეგობარიცაა! მსურს, მთელი გულით მივულოცო იუბილე და გამოვხატო აღტაცება მისი, როგორც არა მხოლოდ დიდი პროფესიონალის, არამედ შესანიშნავი დედის, გონიერი ხელმძღვანელის და მშვენიერი ადამიანის მიმართ!

ძვირფასო ნინო! მადლობელი ვარ ჩვენი ერთობლივი შემოქმედების ყოველი წამისათვის.

The name Nina Ananiashvili had been familiar to me from childhood. During my time at the Moscow Academic Choreographic School and while going to classes of academic dance I used to look transfixed at pictures of Nina and Liepa on the wall stand. And after moving to the Bolshoi Theatre, I watched Giselle with Nina and Alexei Fadeychev – these were true artists on stage. Back then, I couldn't imagine I would be dancing this ballet with Nina.

Our artistic roads crossed in a completely unusual project by Gregory Vashadze, Dreams About Japan, staged by Alexei Ratmansk. I did not have an immediate duo with Nina, but cooperation and joint work opened up her human qualities to me. It was a great revelation to me that an international star of such scale could be so kind and sincere to a young dancer whose career was only taking shape. This is how we met.

We danced many ballets together. La Bayadere, Leah, Giselle, Raymonda, The Sleeping Beauty, Swan Lake, but I would like to give a special mention to two productions – Don Quixote and Romeo and Juliet. Having danced strictly classical roles, I thought Basil's part in Don Q would not be appropriate for my image. However, Nina managed not only to persuade me, but to create a completely fresh production. She can instill her temperament into her partner, and into all artists on the stage. With her on the show, the performance was reshaped and stood out from others. Nina's talent affected everyone on the stage and in the audience.

Sometimes you would come to rehearsal after a performance completely drained, but a simple talk with Nina would make you forget about tiredness and then she would transform this calm chatter into a rehearsing process, where you gave it your all and captured new heights while the great teachers – Raisa Struchkova and Nikolay Fadeychev – watched closely on. And what about her partnership? It's just wondrous! She can understand your thoughts with a slightest movement and react immediately. This is a special talent on stage. Even technically challenging movements went swimmingly with her. She always thought about her partner.

Partnering her in Romeo and Juliet production by Mikhail Lavrovsky is an equally unforgettable experience. Her eyes made me feel I was a youngster in love, while all the difficult part of this ballet disappeared in whirlwind of Shakespeare's passion. I saw beside me not Nina Ananiashvili but a young Juliet, for whom I would be ready to give my own life.

Nina is not only a great ballerina of our time, but also an excellent friend. I would like to congratulate her on this anniversary and express my admiration with this great professional, a brilliant mother, a clever director and a beautiful person!

Dear Nina, I am thankful for every second of our artistic relations.

ნინო ანანიაშვილი  
Nina Ananiashvili



წელი სვენაზე  
Years on Stage



ნინო ანანიაშვილი,  
იური პოსოხოვი.  
„რომეო და ჯულიეტა“

Nina Ananiashvili,  
Yuri Possokhov  
*Romeo and Juliet*



ჩვენი ცხოვრება შედგება უამრავი მოვლენის, მოულოდნელი შემობრუნებების, პერიპეტეიების და რა თქმა უნდა შეხვედრებისაგან.

ყოველთვის ვთვლიდი, რომ ნინოსთან შეხვედრა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ახლა, დიდი ხნის შემდეგ კი, ვხვდები, რომ სიმბოლურიც აღმოჩნდა.

ეს იყო შეხვედრა, რომელმაც არა მხოლოდ ვარსკვლავური სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა წარმომადგენელთან მუშაობის და ცეკვის საშუალება მომცა, არამედ ჩემი ცხოვრება არაჩვეულებრივ მოგზაურობაში წარმართა.

ძვირფასო ნინო! მსურს, ზომიერების ფარგლებში, მაგრამ მაინც გისურვო ჯანმრთელობა, ბედნიერება მშვენიერ ოჯახურ ცხოვრებაში, სცენური წარმატება (თუმცა მგონია, რომ შენი წარმატება დიდი ხანია, წინასწარაა ბუნების მიერ განსაზღვრული) და ყველაფერი ის, რაც მიგიყვანს ჰარმონიასთან, რაც ასე აუცილებელია ჩვენს წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრებაში.

როგორც მეგობარს კი მსურს არა გისურვო, არამედ მოვითხოვო (ასევე ზომიერად) არაერთი შემოქმედებითი გმირობა, რომელიც აუცილებელია არა მხოლოდ მათთვის, ვისაც უკვე ჰქონდა შენთან შეხვედრის ბედნიერება, არამედ მათთვისაც, ვისაც ეს ჯერ კიდევ წინ აქვს.

Наша жизнь состоит из огромного количества событий, неожиданных поворотов, перипетий и конечно же встреч.

Всегда ощущал встречу с Ниной очень значимой для меня, а сейчас после многих лет понимаю, что она была еще и знаковой.

Встреча, которая не только дала возможность работать и танцевать с одним из самых ярких представителей звездного небосклона, но которая направила мое жизненное русло в замечательное путешествие.

Дорогая Нино! Пускай в разумном количестве, но хочется пожелать тебе здоровья, счастья в замечательной семейной жизни, сценического успеха (хотя мне кажется твой успех давно запрограммирован природой) и всего того что тебя приведет к гармонии, так необходимой в нашей противоречивой жизни.

А на правах друга хочется не то чтобы пожелать, а потребовать (тоже в разумных количествах) творческих подвигов, необходимых не только тем, кому уже посчастливилось с тобой встретиться, но и тем кому это еще предстоит.

**Юрий Посохов**

## იური პოსოხოვი

*სან-ფრანცისკოს ბალეტის ქორეოგრაფი*

## Yuri Possokhov

*Choreographer of San Francisco Ballet*



„საგალობლის“ პრემიერა. თბილისი. 2008  
Premiere of *Sagalabeli*. Tbilisi. 2008


## კევინ მაკენზი

ამერიკის ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

## Kevin McKenzie

Artistic director of American Ballet Theatre

კევინ მაკენზი,  
ნინო ანანიაშვილი,  
ხოსე მანუელ კარენიო  
Kevin McKenzie,  
Nina Ananiashvili, Jose  
Manuel Carreño



ძვირფასო ნინო,

მაქვს პატივი, ავღნიშნო, რომ თქვენი, როგორც ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე დინამიური ბალერინას, ოცდაათწლიან მოღვაწეობას ყურადღებით ვადევნებდი თვალს. ერთადერთხელ გამოვედი დიდ თეატრში და მაშინვე შეგამჩნიეთ, როგორც ანგარიშგასაწევი ძალა. თუ სწორად მახსოვს, მაშინ 18 წლის იყავით. თქვენ ერთ-ერთი პირველი ბალერინა იყავით, ვისაც ამერიკის საბალეტო თეატრის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნის შემდგომ დაუკავშირდი. ამას მოჰყვა თქვენი ABT-თან თავგადასავლებით სავსე ამაღელვებელი ურთიერთობის ოცი წელი, რომლის განმავლობაშიც თქვენ არა მხოლოდ ნიუ იორკის, არამედ მსოფლიოს მასშტაბით ჩვენი მაყურებლების საყვარელი ბალერინა გახდით. თქვენ შეიყვარეთ ამერიკული საბალეტო დასი და დასმაც, საპასუხოდ, შეგიყვარათ თქვენ. თქვენი გავლენა იგრძნობოდა თქვენს სიხარულით აღსავსე შესრულებაში და გასაოცარ ოსტატობაში.

სიამოვნებით ვაკვირდებოდი თქვენს ენერგიულობას სცენაზე და სცენის მიღმა, რადგან სიცოცხლე ისევე გიყვართ, როგორც ბალეტი. სწორედ ეს თვისება გამოგარჩევთ მაყურებლის თვალში – ისინი ინსტინქტურად გრძნობენ, რომ მათ წინაშე ნამდვილი შემსრულებელია.

როცა ვუყურებ, როგორი სიყვარულით ურთიერთობთ ელენესთან, ვხვდები, რომ მასაც სიცოცხლის, სიყვარულისა და სილამაზის იმ განცდას ჩაუნერგავთ, რაც თქვენს სულში სუფევს. იგი იღებს ყველაფერ იმას, რის გამოც მაყურებელს (და მეც, მათ შორის) ასე გვიყვარხართ: პატივისცემის, თვითრწმენის, პატიოსნებისა და ზრუნვის კულმინაცია, რაც, საერთოდ, ცხოვრებისეულ საზრისს წარმოადგენს; თქვენი ერთგულება ხელოვნების იმ ფორმისადმი, რომელიც სიცოცხლის მნიშვნელობას უფრო ნათელს ხდის; თქვენი ერთგულება ცხოვრების სილამაზის მიმართ, რომელიც ხელოვნების ფორმის მნიშვნელობას უფრო ნათლად წარმოაჩენს.

მოვა დრო, როდესაც თქვენი სრული ყურადღება მთლიანად ელენესა და გრიგოლზე გადავა, ხოლო ხელოვნებისადმი ყურადღება – თქვენს დასზე. თუ, რა თქმა უნდა, სცენაზე 40 წლის იუბილეს აღნიშვნას არ გეგმავთ! ნებისმიერ შემთხვევაში, ვერ წარმომიდგენია ვინმე, ვინც ამ დასის ხელმძღვანელის როლს თქვენზე უკეთ მიესადაგება. თქვენი დასი ბედნიერი უნდა იყოს, რომ ჰყავხართ სცენის უკან, თქვენი მაყურებელი კი იმისთვის, რომ სცენაზე გიყურებთ.

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს ამ 30 წლის იუბილესთვის და სამომავლოდ.

Dear Nina,


I feel honored to say I have witnessed nearly all of your thirty years as one of the most dynamic ballerinas of our time. The one and only time I performed at the Bolshoi, you caught my eye as a force to be reckoned with. You were all of 18, if I have it right. You were one of the first ballerinas I approached when I became Director of ABT and for the next twenty years we rode the roller coaster of your exciting relationship with ABT's audience as you became the darling of not only the New York public, but our fans all over the world. You embraced the company and the company, in turn, embraced you. Your influence was felt through your sheer joy of performing and the prowess of your focus.

I have so enjoyed your energy on and off the stage. You enjoy the art of living as much as the art of ballet. That, I think, is what makes you so special to an audience – they instinctively know there is a real presence they can believe in front of them.

To witness your dedication to Helena is to know you shall instill in her the appreciation of life, love, and beauty that dominates your soul. She, in fact, is the recipient of everything about you that audiences (and !!) love so much: the culmination of a lifetime of reverence, confidence, honesty, and caring for what makes life worth living. That dedication to an art form that can make life all the clearer. The dedication to the beauty of life can make an art form all the clearer.

Now, the time will come when all your attention for life will filter to Helena and Gregory and all your attention to the art form will be to your company. That is of course, unless you're planning to celebrate your 40th anniversary on the stage! But one way or another, I can't think of anyone more suited to be a director than you. Your company is lucky to have you behind the scenes and your public is lucky to have you on the stage.

I wish you ALL THE BEST on this your 30th anniversary and even more for the future.



ირინა კოლპაკოვა,  
კევინ მაკენზი,  
ნინო ანანიაშვილი

Irina Kolpakova,  
Kevin McKenzie,  
Nina Ananiashvili



## ფრენკ ანდერსენი

დანის სამეფო ბალეტის  
სამხატვრო ხელმძღვანელი,  
1985-1994/2002-2008

ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემს პირველ სასიყვარულო წერილს ვწერ. ვზივარ და მერიდება ყველაფერი ვთქვა, რისი თქმაც მინდა თქვენთვის.

ის, თუ რას ვგრძნობ თქვენ მიმართ, რას ნიშნავთ თქვენ ჩემთვის, რა გააკეთეთ თქვენ ჩემთვის და რატომ ხართ ჩემთვის ასეთი განსაკუთრებული...

ჩვენ უამრავი არაჩვეულებრივი წელია ერთმანეთს ვიცნობთ, ალბათ 23 წელი იქნება. ერთად გვიმოგზაურია მსოფლიოში... და მე მინახავს ყველაფერი, რაც თქვენ გიცეკვიათ, ყველგან... ერთად გვიცინია და გვითრიან, გვიმუშავია და დაგვისვენია...

არა, ამჯერად მხოლოდ ერთ რამეზე დავწერ – თქვენს გულუხვობაზე.

არც ერთი თაყვანისმცემელი, რომელიც წარმოდგენის შემდეგ კართან გელოდებოდა, არ წავა გაწბილებული სახლში – ისინი აუცილებლად მიიღებენ ფოტოს და ავტოგრაფს. ჩვენ ყველანი კი ამ დროს უკვე კარგა ხანია რესტორანში გელოდებით. თუ ვინმე ავად არის ან არაკომფორტულად გრძნობს თავს, თქვენ ყველაფრისთვის გაქვთ წამალი. თუ ძალიან ცივა, თქვენ ერთით მეტი შარფი გაქვთ თან. ვიცი, რომ

გაკვეთილების ჩატარება იოლი არ არის თქვენთვის, რადგან ასეთი დაკავებული ხართ. იგივე ეხება სპექტაკლს. იმის გამო, რომ თქვენ გამუდმებით ადევნებთ თვალყურს იმას, თუ როგორ ცეკვავენ ბალერინები, ლამის დაგავიწყდათ საკუთარი გამოსვლა. სპექტაკლის შემდეგ, როდესაც მაყურებელი გულმხურვალედ გიხმობთ უკან სცენაზე, თქვენ სხვებს უხდით მადლობას იმისთვის, რაც მათ გააკეთეს. თუ ვინმეს მაკიაჟის გაკეთება უჭირს, თქვენ ეხმარებით. თუ ფულის ნაკლებობაა, ყველაფერს აკეთებთ იმისთვის, რომ ყველამ მიიღოს გასამრჯელო და ხშირად საკუთარი ჯიბიდანაც იხდით. აღარაფერს ვამბობ იმაზე, შუაგულ ომში ედინბურგის საბალეტო დასი როგორ ჩამოიყვანეთ თბილისში.

ჩემთვის თქვენ ვარსკვლავი ხართ, სცენაზეც და სცენის მიღმა, გამორჩეული პრინციპულობის ადამიანი. არ მესმის როგორ ახერხებს ერთი ადამიანი ამდენი გასცეს სხვა ადამიანისთვის.

მე თქვენ მიყვარხართ...

ფრენკი. დანია. მარტი, 2012 წელი

I almost feel like, I am writing my first love letter. I am sitting here blushing over all the things, I want to tell you.

What I feel for you, what you mean to me, what you have done for me and why you are so special for me...

We have known each other for so many wonderful years – I think about 23 – and we have traveled the world together, really... and I have seen you dance everything – anywhere... and we have cried and laughed, we have worked and relaxed...

No, I am now going to write to you about one thing – and one thing only – Your generosity.

Not one of the hundreds of fans waiting at the stage door after any performance, anywhere, will go disappointed home – they shall get their photo and autograph – and the rest of us are already at the second course at the restaurant. If one are ill or just uncomfortable be sure that you have medicine for – EVERYTHING – with you and order one to take it – while you WATCH. If it is really cold, we can just

be sure that you always have an extra scarf, that you lend one. It is actually quite difficult for you to do class these days, since you are so occupied looking at how the everybody are working and constantly – thank you – correct them. The same on performance, you are so busy to see how the dancers do, that you almost forget your own entrance. After performance and 10 curtain calls for yourself, you always thanks everybody for what THEY did. If someone has trouble with the make-up, luckily you are there to help. When money is low, you make sure, that everyone gets paid – even from your own pocket. Not to speak about, how to get a ballet company from Edinburgh to Tbilisi in a middle of a war.

You are a star for me. On stage – and off stage. A person with outspoken integrity.

How can one person give so much to so many, constantly.

I love you...

## Frank Andersen

*Artistic director of Royal Danish Ballet, 1985-1994/2002-2008*

Frank. Denmark. March, 2012





ნინო ანანიაშვილი  
Nina Ananiashvili

წელი სვენამე  
Years on Stage



„მარგარიტა და არმანი“. ფრედერიკ  
ეშტონის ქორეოგრაფია.  
*Marguerite and Armand.*  
Choreography by Frederick Ashton

„მას შემდეგ, რაც ნინო პირველად ვნახე, მისი თაყვანისმცემელი გახლავართ. შევამჩნიე, რომ ნინოს მომხიბვლელი პიროვნება უმაღლეს ატყვევებს მაყურებელს, რომელიც აღფრთოვანებულია მისი თითოეული ჟესტით. მის ამ უნიკალური ნიჭს, წლების მიუხედავად, არაფერი დატყობია.

ასე რომ, ეს საღამო გვაძლევს მნიშვნელოვან შესაძლებლობას, გამოვხატოთ ჩვენი პატივისცემა ამ ჩვენთვის უძვირფასესი ხელოვანის მიმართ, რომელსაც მთელს მსოფლიოში ჰყავს ერთგული თაყვანისმცემლები.

ჩემთვის უდიდესი პატივი იყო, ნინოს პირადად შევხვედროდი 20 წლის წინ, როდესაც მან პირველად იცეკვა სამეფო თეატრში. ჩემი, როგორც ადმინისტრაციული დირექტორის მოვალეობა კონტრაქტების უზრუნველყოფა გახლდათ. სწორედ მაშინ გავიცანი მისი მეუღლე, გრიგოლ ვაშაძე, რომელიც მისი სახელით მოქმედებდა. ჩვენი საუბრების დროს გამუდმებით ვგრძნობდი, როგორ უყვარდა მას ნინო, და ვფიქრობ, ჩვენ ორივეს გვსიამოვნებდა ეს შეხვედრები. ჩვენ ყოველთვის ვთანხმდებოდით, ნებისმიერი ზედმეტი მიღებ-მოღების გარეშე და შემდეგ ვაგრძელებდით საუბარს ათასგვარ თემაზე.

ნინოს პირველი წარმოდგენა სამეფო ბალეტში კენეტ მაკმილანის „პაგოდების პრინცი“ გახლდათ, რაც მისთვის, ერთი შეხედვით, უცხო ქორეოგრაფიული სტილი უნდა ყოფილიყო რთული მუსიკის თანხლებით. მან ოსტატურად და დიდებულად იცეკვა და მყისიერად დაიპყრო კოვენტ გარდენის მაყურებელთა გულები. მისი შემდგომი შთამბეჭდავი პარტია გახლდათ ლიზა ეშტონის „ამაო სიფრთხილეთი“. იგი იდეალურად მოერგო პრინცესა ავრორას პარტიას „მძინარე მზეთუნახავში“ – ნინომ გაიარა პეტიპასეული მკაცრი გამოცდა, რაც მოითხოვს, რომ ნამდვილმა კლასიკურმა ბალერინამ ყველა საჭირო ატრიბუტი წარმოაჩინოს. მისი „ჟიზელი“ ამაღელვებელი და დაუვიწყარი იყო, ბალანჩინის ბალეტში *Symphony in C* კი მართლაც გაიბრწყინა. ეშტონის „კონკიაში“ იგი სინაზისა და ბრწყინვალეების განსახიერება გახლდათ. ამას მოჰყვა „ფასკუნჯი“, რამაც თავისი დიდებულებითა და ნინოს ნათელი თვალებითაც დაგვამახსოვრა თავი.

რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ სასიამოვნო იყო ნინოს ახალ ამბლუაში, საქართველოს სახელმწიფო ბალეტის ხელმძღვანელის პოსტზე ნახვა. უცხოეთში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცხოვრების შემდეგ იგი თავის ფესვებს დაუბრუნდა. საქართველოსათვის ამ მეტად რთულ წლებში მან დიდი სიმამაცე და პატრიოტიზმი გამოიჩინა და ქართული საბალეტო დასისთვის, ამ მეტად ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, მართლაც სასწაულები მოახდინა. მას ბუნებრივი ძალაუფლება და მომთხონელობა ახასიათებს, მაგრამ ამას ძალიან მომხიბვლელად აკეთებს, და ბოლომდე გაცნობიერებული აქვს თავისი მიზანი. ყოველთვის, როცა ნინოს დასს ვსტუმრობ, ვხედავ, რომ ისინი სულ უფრო და უფრო უკეთესად და მაღალ დონეზე ცეკვავენ.

## ენტონი რასელ-რობერტსი

ინგლისის სამეფო ბალეტის ადმინისტრაციული დირექტორი, 1983-2009

ნინომ სითამამე და გამჭრიახობა წარმოაჩინა და რეპერტუარი გააფართოვა. ჩემთვის დიდი პატივი გახლდათ, როდესაც მან მთხოვა, ნება დამერთო მისთვის დაედგა ჩემი ბრწყინვალე ბიძის – ფრედერიკ ეშტონის რამდენიმე ბალეტი. „ორი მტრედი“, რომელიც რომანტიკული ლირიკულობის და ბოშების მგზნებარების შერწყმას წარმოადგენდა, რაც ასე ახლობელია ქართული ტემპერამენტისთვის, იდეალურად მიესადაგა ამ დასს. შემდეგ ეშტონისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, რომელიც „დღესასწაულით“ გაიხსნა. ეს გახლავთ ეშტონის პირადი პატივისცემის გამოხატვა პეტიპას გენიალურობისა და ვლახუნოვის დიდებული მუსიკის მიმართ; დივერტისმენტი, რომელიც ამავე საღამოზე იყო წარმოდგენილი, სტილთა დიდი მრავალფეროვნებით წარმოაჩენდა ინდივიდუალურ მოცეკვავეთა ძლიერ მხარეებს და შემდეგ „მარგარიტა და არმანი“, რომელშიც ნინომ უბადლოდ შეასრულა მარგარიტას, ტუბერკულოზით დაავადებული შეყვარებული კურტიზანი ქალის როლი. მას არაჩვეულებრივ პარტნიორობას უწევდნენ არმანის როლის შემსრულებელი და დასის სხვა მოცეკვავეები. დიუმას ცნობილ რომანზე – „ქალი კამელიებით“ ეშტონის ბალეტის გარდა ვერდის გენიალური ოპერა „ტრავიატა“ შეიქმნა. თავდაპირველად ბალეტი ფონტენისა და ნურიევისთვის დაიდგა, რომელიც ის-ის იყო კიროვის თეატრიდან წამოსულიყო. უდავოა, რომ ტექნიკური თვალსაზრისით, მარგარიტას როლი არც ისეთი რთულია. მისი წარმატებისთვის საჭიროა, რომ იგი ნამდვილმა ვარსკვლავმა შეასრულოს. ნინო კი სწორედ ასეთი ბალერინაა. მისი ცეკვა ტრიუმფი იყო და ამ საღამოს ჩვენთვის დიდი პატივი იქნება, კიდევ ერთხელ ვუყუროთ ამას.

საქართველოში ჩემი რამდენიმე ვიზიტის დროს ნინოსა და გრიგოლის საოცარი სტუმართმოყვარეობის მოწმე ვახვდი. რესტორანში, ან მათ ლამაზ სახლში გატარებული საღამოები ყოველთვის მემახსოვრება. ჩვენს წინ იშლებოდა გორაკებზე შეფენილი ისტორიული და სინათლით გაკაშკაშებული ციხე-სიმაგრეები, ჩვენ ვსტუმრობდით საქართველოს უძველეს ადგილებს, მივდიოდით ქალაქგარეთ და შევცქეროდით უზარმაზარ მთებს, რომლებიც სწრაფი მდინარეებით მდიდარ ველებში ეშვებოდა. კერძო საუბრებში ნინოს ცელქი იუმორი ვლინდება და გრიგოლი ცდილობს, გემრიელი ქართული ღვინო არ შემოგვაკლდეს. მათი წყალობით შემიყვარდა საქართველო და მესმის, რატომ უყვართ მათ ასე ძალიან თავისი სამშობლო და ხალხი.

სხვა რა შეიძლება ვთქვა ნინოზე? უპირველეს ყოვლისა, მისი თვალები უნდა აღვნიშნო. ნინოს მსგავსი თვალები არავის აქვს.



„მარგარიტა და არმანი“. პრემიერა. თბილისი 2008  
*Marguerite and Armand. Premiere. Tbilisi. 2008*

“I have admired Nina as a charismatic ballerina ever since I very first saw her many years ago and I have always noticed how audiences instantly warm to her captivating personality and how they watch her every gesture with rapt attention. With the passing of years this rare gift remains undiminished and in full flow.

So tonight is a landmark occasion in tribute to a very special and much loved artist with a devoted following all round the world.

It was a special pleasure to get to meet her and to know her personally some twenty years ago when she first came to dance with The Royal Ballet. As Administrative Director it was my duty to make the contractual arrangements and it was then that I met her husband, Gregory Vashadze, who acted on her behalf. His love for Nina shone through our conversations and I think we both really enjoyed our meetings. We always came to an agreement in minutes without any “beating about the bush” as we say in English and then proceeded to talk for ages about every other topic under the sun.

Nina’s first ballet with The Royal Ballet was Kenneth MacMillan’s *The Prince of the Pagodas* which to her must have seemed an unfamiliar style of choreography set to somewhat difficult music. She gave a masterly and radiant performance, and

Covent Garden audiences instantly took her to their hearts. She went on to conquer in the role of Lise in Ashton’s *La Fille mal gardee* in a performance of beguiling charm. Again she was ideally suited as Princess Aurora in *The Sleeping Beauty* – that fierce Petipa examination that requires all the attributes of a true classical ballerina to be on show. Her *Giselle* was touching and unforgettable, and how she sparkled in Balanchine’s *Symphony in C*. Again she was the epitome of the gentleness and radiance that is called for in Ashton’s *Cinderella*. And then there was her *Firebird* – memorable in its diamond brilliance and for her flashing eyes.

After a gap of a few years it was exciting to get to know Nina in another capacity as Director of the State Ballet of Georgia – a true homecoming to her roots after so many years lived abroad. She is courageously and fiercely patriotic in these difficult times for Georgia and has achieved wonders in a very short time with the company. She has natural authority and is exacting, but goes about her business with charm and a great sense of purpose. Each time I see the company it continues to dance to a higher and higher standard.

Nina has been bold and astute in broadening the repertory. I felt honoured when she has asked



## Anthony Russell-Roberts

*Administrative Director, The Royal Ballet,  
1983-2009*

me to grant performing rights for several ballets by my illustrious uncle, Frederick Ashton. Two Pigeons suited the company perfectly with its mixture of romantic lyricism and fiery gypsies, so akin to Georgian temperament. Then came a whole evening of Ashton, opening with Birthday Offering, Ashton's personal tribute to the genius of Petipa to luscious Glazunov music; a middle section of Divertissements with a wide variety of styles to showcase the individual strengths of various dancers and then Marguerite and Armand with Nina in a peerless and individual performance in the role of Marguerite, the consumptive and love stricken courtesan heroine. She was ably supported by her Armand and other company artists. It is Ashton's take on the famous Dumas novel, La Dame aux Camelias, which also spawned Verdi's La Traviata. The ballet was originally created as a vehicle for Fonteyn and Nureyev, newly defected from the Kirov. It goes without saying that, although not technically

challenging for the ballerina, it requires a stellar Marguerite to pull it off – no worries there for Nina. Her performance was a triumph, which we are privileged to see again tonight.

On my several visits to Georgia I have also come to feel the warmth of Nina and Greg's extraordinary hospitality. Those evenings out in a restaurant or in their beautiful home with that incredible view over the ruined and floodlit battlements on the hillside above have all been moments to treasure as have those excursions to see some of ancient Georgia and that beautiful countryside with towering hills plunging to deep valleys with broad fast-flowing rivers. In private, Nina's impish sense of humour flourishes and Greg makes sure that plenty of delicious Georgian wine flows. Because of them I have come to love Georgia and fully understand their deep love of their country and its people.

And what else of Nina? Above all, it is those eyes. No-one has eyes like Nina."

ენტონი რასელ-რობერტსი მეუღლესთან, ნინო ანანიაშვილთან და ვასილ ახმეტელთან ერთად „მარგარიტა და არმანის“ პრემიერის შემდეგ. თბილისი. 2008  
Anthony Russell-Roberts with his wife, with Nina Ananiashvili and Vasil Akhmeteli after the Tbilisi premiere of Marguerite and Armand. 2008.



ნინო ანანიაშვილი  
Nina Ananiashvili



წელი სცენაზე  
Years on Stage



„სიმბრები იაპონიაზე“  
ალექსეი რატმანსკის  
ქორეოგრაფია

*Dreams About Japan.*  
Choreography by  
Alexei Ratmansky

# ალექსეი რატმანსკი

ამერიკის ბალეტის თეატრის ქორეოგრაფი

## Alexei Ratmansky

Artist in residence of American Ballet Theatre

ძვირფასო ნინო! ბედის მადლობელი ვარ, რადგან ქორეოგრაფიაში ჩემი გზის დასაწყისშივე, თქვენთან შეხვედრით დამასაჩუქრა. მასხოვს თქვენი უბრალო ფრაზა: „დადგით ჩემთვის ბალეტი!“ და გამოწვდილი სავიზიტო ბარათი; შემდეგ პირველი რეპეტიცია დარბაზში, როდესაც შიშით ვთრთოდი; ჩვენი პრემიერები, უზარმაზარი წარმატება და შემდგომი პროექტები, რომელთაგან თითოეული ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა და ბევრს მასწავლიდა. მთელ მსოფლიოსთან ერთად აღფრთოვანებით ვუცქერდი თქვენს ცეკვას, ახლა კი საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე თქვენი საქმიანობის წინაშე ვიხრი ქედს. თქვენი გამუდმებული ოპტიმიზმი, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება თქვენი კოლეგების მიმართ, მეგობრებისა და პედაგოგების მიმართ ერთგულება, ღირსეული პროფესიული და საზოგადო ცხოვრება, საკვირველი სტუმართმოყვარეობა და სითბო – ყველაფერი ეს სასიამოვნო ურთიერთობის წინაპირობას ქმნის. მე, ტატიანა და ვასილი მთელი გულით გილოცავთ იუბილეს (თქვენით აღფრთოვანებულები ნიუ-იორკიდან).



Dear Nina! I am thankful that my fate presented me with an opportunity to meet you at the very beginning of my career as a choreographer. I remember how you told me a simple phrase: “Stage a ballet for me!” and offered me your business card. This was followed by our first rehearsal in the studio where I was shaking with fear; our premieres, our great success and following projects, every one of which meant a lot and taught me so much. I, alongside the rest of the world, was amazed to watch you dancing, and now I take a bow before the director of the State Ballet of Georgia. Your constant optimism, kind attitude to your colleagues, faithfulness to your friends and teachers, dignity in your professional and public life, remarkable hospitality and warmth – all of these create very pleasant conditions for maintaining relationship with you. I, Tatiana and Vasiliy would like to cordially congratulate you on this anniversary (from New York which adores you).

რეპეტიციაზე თბილისში  
On rehearsal in Tbilisi



„თოვლის ქალწული“.  
ბენ სტივენსონის ქორეოგრაფია  
*The Snow Maiden.*  
Choreography by Ben Stevenson

ვწუხვარ, რომ არ შემიძლია დღეს თბილისში ვიყო და ნინოსთან ერთად ავღნიშნავდე მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავს.

ჩემთვის დიდი პატივი გახლდათ, რომ ჩემი კარიერის განმავლობაში ასეთ ულამაზეს ბალერინასთან ერთად მუშაობის შესაძლებლობა მექონოდა. ნინო ანანიაშვილზე უკეთესად ვერავინ ფლობს სცენას.

რა დიდებულება, წლების განმავლობაში მოწმე იყო მისი წარმოდგენებისა. თუ ორი სიტყვით გადმოვცემდი ჭეშმარიტი სილამაზისა და პატივისცემის არსს, ეს ორი სიტყვა იქნებოდა „ნინო ანანიაშვილი“.

მე მიყვარს იგი... და განა ვის არ უყვარს ნინო?

## ბენ სტივენსონი

*ტეხასის ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი*

## Ben Stevenson

*Artistic director, Texas Ballet Theatre*

I feel such regret that I can not be there to celebrate with Nina in Tbilisi for her 30 year anniversary.

A great pleasure in my career was having the opportunity to work with such a beautiful ballerina inside and out. No one can command the stage like Nina Ananiashvili.

Wow! What a thrill it is to be a witness to her performances over the years. If there were two words that could sum up true beauty and respect, those two words would be “Nina Ananiashvili”.

I love her...who doesn't?





## ირინა კოლპაკოვა, ვლად სემიონოვი

ამერიკის საბალეტო თეატრი

დიდი სიხარულით ვულოცავთ ნინოს, მის მშვენიერ ოჯახს და საქართველოს სახელმწიფო ბალეტის ბრწყინვალე დასს ამ დიდ შემოქმედებით იუბილეს.

ნინო ანანიაშვილი ჩვენთვის უნიჭიერესი ბალერინა და უნიკალური ადამიანია. ერთმანეთს 20 წლის წინ, ამერიკის ბალეტის თეატრში რეპეტიციაზე შევხვდით. ნინომ პირველ რეპეტიციაზე მოსვლისთანავე განგვიცხადა: „გთხოვთ, ყველაფერი პირდაპირ და გულახდილად მითხრათ. არავითარი კრიტიკა ჩემს წყენას არ გამოიწვევს. ეს ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო იქნება და მხოლოდ გამიხარდება.“ მისი ასეთი პროფესიონალური მიდგომის შედეგად ჩვენს შორის მაშინვე ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა გაჩნდა და მასთან მუშაობა ჩემთვის, როგორც რეპეტიტორისთვის, ნამდვილი სიამოვნება იყო. მოსკოვის სასწავლებელში მისი პედაგოგი პეტერბურგიდან მოსკოვში ჩასული ზოლოტოვა იყო, ასე რომ მასში ერთდროულად მოსკოვური და ლენინგრადული სკოლების გავლენა იგრძნობოდა. მასთან მუშაობა სიამოვნება და ბედნიერებაა. როგორც პროფესიონალს, ყოველთვის მაოცებდა ნინოს მსუბუქი, არაჩვეულებრივი სილამაზის ხელები და საკვირველად გამოხატველი მტევნები. ბუნებამ ის დიდად დააჯილდოვა. მაღალი, ძლიერი ნახტომი და ცეკვის ლამაზი ხაზები; უშეცდომო ტექნიკა, არტისტულობა, ბუნებრივი სცენური ქცევა და რა თქმა უნდა, ქალურობა – ეს ყველაფერი ნინოს სცენურ ინდივიდუალობას წარმოადგენს. ის გარეგნულადაც ძალიან ლამაზია, არა მხოლოდ ცხოვრებისეულად, არამედ სცენაზეც. მომხიბლავი ღიმილი, სცენაზე ნაჩვენები ბუნებრიობა და შარში დამატყვევებელია. და მაინც, მისი არტისტული ტალანტის მთავარი უნარი ის სინათლე, ის მზის სხივია, რომელიც მისი გულისცემიდან მომდინარეობს და ყველა კონტინენტის მაყურებელს აჯადოებს. ნინო ბუნებით დაჯილდოვებულია და

ერთნაირად გამოხატველია როგორც ლირიკული, ისე გმირულ და კომედიურ როლებში.

ამ ყველაფრის უკან, რა თქმა უნდა, მძიმე ყოველდღიური შრომა დგას. ის წარმოუდგენლად შრომისმოყვარეა, ცხოვრებაში კი ისეთივე ნათელი და უჩვეულო, როგორც შემოქმედებაში. მას დედამიწის ნებისმიერ ქალაქში ალტაცებით ხვდებიან, იაპონიაში კი მისი კულტი არსებობს. კულისებში მისი ქცევა ნებისმიერი თეატრის დასის პატივისცემას იწვევს. დელიკატური, ინტელიგენტური, მშვენივრად აღზრდილი, ნინო ყოველთვის ისე იქცეოდა, როგორც ქართველი თავადის ქალი. ყველასთან თანაბრად ზრდილობიანია, პარტნიორიდან კოსტიუმების ჩამცმელამდე და მისი სახელის მიუხედავად, არასდროს შეყვია ვარსკვლავური სენი. სამუშაოს მიმართ მთელი ქცევითა და დამოკიდებულებით ნინო მისაბაძი მაგალითია ახალგაზრდა არტისტებისთვის და არცაა გასაკვირი, რომ საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნის შემდეგ მასთან მუშაობა ყველას სურვილი იყო. საერთაშორისო თეატრები და ფონდები მას მსოფლიოს საუკეთესო ქორეოგრაფების – ბალანჩინის, ეშტონის, კილიანის და სხვათა ბალეტების დადგმის უფლებას აძლევენ. ნინომ დასის მართვისას ნამდვილი ორგანიზატორული უნარები გამოავლინა. ის მძიმე მატერიალურ კრიზისში მყოფ კოლექტივს ჩაუდგა სათავეში და მოკლე პერიოდში წამოაყენა ფეხზე. მისი ცხოვრების მთავარი მიღწევა კი, შესაძლოა, ქალიშვილის დაბადება გახდა. ჩვენს მიერ თბილისში მუშაობისას გატარებული დრო ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი იყო და ბედს ვუმადლით, რომ ნინოს შეგვახვედრა. ვხარობთ მისი წარმატებებით და ინტენსიური სამომავლო თანამშრომლობის იმედი გვაქვს, მომავალი შეხვედრების სურვილთან ერთად.

With great pleasure we extend our congratulations on this great artistic anniversary to Nina, her beautiful family and brilliant State Ballet of Georgia.

For us Nina Ananiashvili is an extremely talented ballerina and remarkable person. We met twenty years ago at an American Ballet Theatre rehearsal. Straight away Nina told us: "Please be frank and direct about anything you need to point out. No criticism will upset me, it will be beneficial and I will only be happy about it." Such professional attitude meant we started a collaboration based on trust and it was a real pleasure for me as pedagogue to work with her.

Her teacher at the Moscow school was Zolotova who had arrived from St Petersburg, so Nina was schooled in both Moscow and Leningrad ways. It is great experience to work with Nina. I was always amazed with her soft arms of unusual beauty, as well as palms with remarkable expressiveness. She is granted with a lot by nature. High, strong jump, beautiful lines, faultless technique, artistry, natural scenic behavior and, of course, feminine nature – all of these contribute to her on-stage individuality. She is beautiful by appearance as well, both in life and on stage. Her charming smile, natural presence on stage and radiance are captivating. Still, it is that light, that ray of light coming from her heartbeat that comprises the main part of her talent and captures audiences on

every continent. She has been granted a diversity of ability by nature, enabling her to be equally expressive in lyrical, heroic and comic roles.

Of course, hard everyday work is behind all this. She is amazingly workaholic and as graceful and remarkable in life as in her art. Nina is received with admiration in every city of the world, while there is a cult of her in Japan. Her behavior behind the scenes causes great respect from any company – delicate, educated, well raised, she always behaved like a noble Georgian lady. Equally polite with everyone, from her partner to the costume lady, she never caught the Star Disease. Nina is an example for young artists in terms of her attitude to work and it is no wonder everyone came forward to join forces with her once she became artistic director of State Ballet of Georgia. International theatres and foundations granted her rights to stage works by choreographers like Balanchine, Ashton, Kylian and many more. She displayed real organizational prowess, becoming director of a company in financial difficulties and managing to turn its fortunes around in short time. And the main achievement of her life might be tied to becoming mother.

The time we had while working in Tbilisi was one of the happiest and we thank our fortune to have met us with Nina. We are happy with her success and hope for intensive future collaboration, as well as meetings.

**Irina Kolpakova,  
Vlad Semyonov**

*American Ballet Theatre*



ვლად სემიონოვი, ირინა  
კოლპაკოვა,  
ნინო ანანიაშვილი,  
ვასილ ახმეტელი,  
ლაშა ხოზაშვილი,  
თეონა ჩარკვიანი  
„რომეო და ჯულიეტა“  
შემდეგ. თბილისი. 2008

Vlad Semyonov,  
Irina Kolpakova,  
Nina Ananiashvili,  
Vasil Akhmeteli,  
Lasha Khozashvili,  
Teona Charkviani after  
a *Romeo and Juliet*  
performance. Tbilisi. 2008



## ვადიმ პისარევი

*უკრაინის სახალხო არტისტი  
დონეცკის ოპერისა და ბალეტის  
სახელმწიფო აკადემიური თეატრის  
სამხატვრო ხელმძღვანელი*

ნინო ანანიაშვილი – ეს უმაღლესი კლასის ხელოვნებაა. ეს მთელი ეპოქაა საბალეტო ხელოვნების ისტორიაში. ღმერთის მაღლობელი ვარ, რომ უკვე მრავალი წლის განმავლობაში ამ დიდ ქალბატონთან მეგობრობის და მუშაობის შესაძლებლობა მაქვს.

ნინო დონეცკში ყოველთვის სასურველი სტუმარია. მან „მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავების“ პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც წელს დონეცკის ა.ბ. სოლოვიანენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის ნაციონალურ აკადემიურ თეატრში მე-19-ედ გაიმართება, უმაღლესი კლასი აჩვენა. ბუნებრივი ტალანტისა და საბალეტო დარბაზში მძიმე ყოველდღიური შრომის შედეგად ნინომ მიაღწია იმას, რითიც არა მხოლოდ საქართველომ, არამედ მთელმა ევროპამ უნდა იამაყოს. და მთელმა მსოფლიომაც!

ნინო ანანიაშვილი უნიკალური და საკვირველი ბალერინაა! სცენაზე გასვლამდე 15 წუთიანი შემზადება და წარმოდგენის ჩატარება მისთვის საკმარისია ხოლმე, რომ ტრიუმფს მიაღწიოს. ნამდვილ, უსიტყვო ტრიუმფს.

ბედნიერი ვარ, რომ ნინოს მის სამშობლოში მომუშავეს ვხედავ. არადა, მას შეუძლია, ეს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში აკეთოს – მას და მის ტალანტს ყველგან გაშლილი ხელით ელიან.

სულიერებით აღსავსე სახიერება, სკოლა, ტექნიკა, მაღალი ნახტომი და ზეცის მიერ ნაჩუქარი უნარი – ეს ნინო ანანიაშვილია. ის ამასთან მშვენიერი ადამიანი და შესანიშნავი მეგობარაცაა.

ნინო! დონბასში ყველას ძალიან გვიყვარხარ და გელით!



ნინო ანანიაშვილი, ვადიმ პისარევი, ალექსეი ფადეევი  
Nina Ananiashvili, Vadim Pisarev, Alexei Fadeyev



## Vadim Pisarev

*People's Artist of Ukraine*

*Artistic Director of Donetsk State Academic  
Opera and Ballet Theatre*

“Nina Ananiashvili” means skill – that of the highest class. Nina Ananiashvili is a whole era in the history of ballet art. I am thankful to God to have had this opportunity to be friends and work with this outstanding lady for many years.

Nina is always a wanted guest in Donetsk. She displayed her highest class on prestigious international festival Stars of the World Ballet, which this year will be presented for the 19th time, on stage of A.B. Solovyanenko Donetsk National Academic Opera and Ballet Theatre. Thanks to natural talent and everyday hard work in studio, Nina has achieved what not only Georgia, but whole Europe can be proud of. The entire world, actually!

Nina Ananiashvili is a unique and remarkable ballerina! A quick check 15 minutes before entering the stage, followed by her dance, results in a triumph. True, unconditional one.

I am very happy to see Nina work in her homeland, while she could be doing it in any part of the world – she, and her talent, are welcome everywhere.


Spiritual character, school, technique, high leap and a gift from heavens – this is Nina Ananiashvili. And she is a beautiful person and great friend as well.

Nina! We in Donbass love you very much, and can't wait to see you!



ნინო ანანიაშვილი და ბალეტის საერთაშორისო ვარსკვლავები. გალა-კონცერტის მონაწილეები. იაპონია.  
Nina Ananiashvili and International Ballet Stars. Participants of a gala concert. Japan

**ერიკ აშენგრინი**  
**ბალეტის კრიტიკოსი,**  
**დანია**



ძვირფასო ნინო!

იშვიათად მინახავს შემოქმედებითად ისეთი ცნობისმოყვარე და ღია მოცეკვავე, როგორც თქვენ ხართ. ჩვენ მოსკოვში, 1989 წელს, შევხვდით, როდესაც დანიის სამეფო ბალეტის მოცეკვავე კირსტენ რალოვი დიდ თეატრში დგამდა ცეკვებს ბურნონვილის სხვადასხვა ბალეტებიდან. დიდი თეატრის სხვა მოცეკვავეებს არ სურდათ საკუთარი ნიჭი დანიური ქორეოგრაფისთვის მიენდოთ, რომლის სტილიც გამოირჩევა მანერულობითა და შთამბეჭდავი ნახტომებით. თქვენ კი, დათანხმდით და დიდებულადაც იცეკვეთ.

დანიის საელჩოში წარმოდგენის შემდეგ გამართულ წვეულებაზე გაგაცნეს ჩემი თავი. მე მაშინვე მოვიხიბლე თქვენი კეთილი პიროვნებითა და თავმდაბლობით. თქვენ გასურდათ, უფრო მეტი გაგეგოთ ბურნონვილსა და მის

სტილზე. მომდევნო წელს კი კოპენჰაგენში ჩამობრძანდით.

„დონ კიხოტში“ კიტრის პარტია იცეკვეთ და დაგვატყვევებთ თქვენი ბრწყინვალე ტექნიკით. მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, თქვენ ბურნონვილის „სილფიდაში“ იცეკვეთ. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ტრაგიკული პერსონაჟის თქვენეულმა შესრულებამ. თქვენ კარგად დაეუფლეთ ამ სტილს და დიდი სულიერებით შეასრულეთ ბურნონვილის ეს რომანტიკული ბალეტი. მე, როგორც კრიტიკოსმა, დავწერე თქვენს შესახებ, მაგრამ ასევე ვავაკეთე ისეთი რამ, რაც ჩემი 40 წლიანი კარიერის განმავლობაში არ გამიკეთებია: იმდენად აღფრთოვანებული ვიყავი, რომ ყვავილები გამოვიგზავნეთ.

თქვენ დაბრუნდით და უფრო მეტი პარტიები შეასრულეთ ბურნონვილის ბალეტებში: ტერეზინა „ნეაპოლში“ და პადე-დე „ყვავილების

ფესტივალში“, ასევე თქვენი საკუთარი რეპერტუარიც. გასულ შემოდგომაზე თქვენ ამალეღვებელი „მომაკვდავი გედი“ იცეკვეთ იუნისეფის გალა კონცერტზე კოპენჰაგენში.

მე მინახავს, როგორი აღფრთოვანებული აპლოდისმენტებით გეგებებოდნენ მეტროპოლიტენ ოპერაში.

როდესაც ნიუ-იორკში სპექტაკლის შემდეგ შევხვდით, ისეთივე კეთილი, გახსნილი და ნაზი იყავით, როგორც ჩვენი პირველი შეხვედრისას. შეგვეძლო ხელოვნების საკითხებზე გვესაუბრა და შეგვეძლო გაგვეცინა. ოსლოში გალა-კონცერტზე, სადაც მე ორგანიზატორი ვიყავი და თქვენ ვარსკვლავი, ვნახე, რომ უპრობლემოდ ურთიერთობდით სხვა დიდებულ ბალერინებთან და ნაკლებად გამოცდილ კოლეგებსაც ეხმარებოდით.

ამჟამად საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი ხართ. სამი წლის წინ თქვენ სთხოვეთ დანიელი მეგობრებისა და ბურნონვილის სპეციალისტების ჯგუფს, თბილისში დაედატ ავგუსტ ბურნონვილის უკანასკნელი ბალეტი „ციმბირიდან მოსკოვამდე“, რომელიც მან 1876 წელს შექმნა. იგი კოპენჰაგენში 1904 წლის შემდეგ არ დადგმულა. მერე თბილისში მომიწვიეთ, რომ ეს სპექტაკლი მენახა და აქ შემოქმედებითი სიურპრიზი დამახვედრეთ.

მიხარია, რომ დავბრუნდი, რათა თქვენი იუბილე აღვნიშნო და მადლობა გადაგიხადოთ იმ ულამაზესი საღამოებისთვის, რომლის დროსაც თქვენმა ცეკვამ სხვა სამყაროს გვაზიარა. მინდა, ასევე მადლობა გადაგიხადოთ ჩვენი იშვიათი შემოქმედებითი მეგობრობისთვის.

## Erik Aschengreen

*Ballet critic, Denmark*

Dear Nina!

I have met few dancers so artistically curious and open as you. We met in Moscow in 1989, when Kirsten Ralov from The Royal Danish Ballet was staging an evening in Bolshoi with dances from different Bournonville ballets. The other stars from Bolshoi did not want to lend their talent to this Danish choreographer whose style is not spectacular and with very little bravura. But you did. And you were wonderful.

At a party in the Danish embassy after the performance I was presented to you. I was immediately charmed by your kind personality and your artistic modesty. You wanted to learn more about August Bournonville and his style, and the next year you came to Copenhagen.

You danced Kitri in Don Quixote and dazzled us with your sparkling technique, but

the important thing was that you danced Bournonville's La Sylphide. I was deeply touched by your sorrowful portrait of her tragic fate. You mastered the style and had a soul for Bournonville's romantic ballet. As a critic I wrote about you, but I did one thing more which I have never done before or after in my forty years as a critic: I sent flowers to you, so deeply was I moved.

You came back and danced more Bournonville-parts: Teresina in Napoli and the pas de deux from The Flower Festival in Genzano as well as your own repertoire. As late as last autumn you danced a touching Dying Swan for a Unicef Gala in Copenhagen.

I have seen you bringing the house down at the Metropolitan Opera in New York and when we met after the performance, you were the kind, open and gentle person, like the first time I met

you. We can discuss artistic matters and we can laugh. In Oslo for a gala, where I was the master of ceremony and you were the star, I experienced how you made no difficulties as I have witnessed with other great ballerinas and you were even helpful to less experienced colleagues.

You are now the artistic director for the State Ballet of Georgia. Three years ago you asked a group of Danish friends and Bournonville specialists to stage August Bournonville's last ballet From Siberia to Moscow from 1876. It had not been performed in Copenhagen since 1904. You invited me to Tbilisi to see it and gave me an unexpected artistic experience,

I am glad to be back to celebrate you and thank you for all the wonderful evenings when your dance brought us to another world. But also a warm thank you for a seldom artistic friendship.



ნინო ანანიაშვილი  
და ჰენინგ  
კრონსტამი  
„ნეპოლის“  
რეპერტივიაზე.  
დანის სამეფო  
ბალეტი. დავით  
ამზალაგის ფოტო

Nina  
Ananiashvili and  
Henning Kronstam  
on a rehearsal  
of Napoli. Royal  
Danish Ballet.  
Photo by David  
Amzallag



## დინა ბიორნი

*ფინეთის ნაციონალური ბალეტის  
სამხატვრო ხელმძღვანელი,  
2001-2008*

*ნორვეგიის ნაციონალური  
ბალეტის სამხატვრო  
ხელმძღვანელი, 1990-2001*

ძვირფასო ნინო, მე ისევ მახსოვს ჩვენი შეხვედრა 20 წლის წინ პატარა ნორვეგიულ ქალაქში, ტრომსოში, პოლარული წრის მიღმა. არასოდეს დამავიწყდება ეს შეხვედრა. ნორვეგიის ნაციონალური ბალეტის მხატვრულ ხელმძღვანელად ის-ის იყო დაწყებული მქონდა მუშაობა ოსლოში და ტრომსოს ახალგაზრდა ბალერინებისთვის გაკვეთილი უნდა ჩამეტარებინა, იმ საღამოს დაგვემღიღინა მოვლენასთან დაკავშირებით. იმ საღამოს ორ რუს ვარსკვლავს – თქვენ და ალექსეის, ნორვეგიის ნაციონალური ბალეტის მოცეკვავეებთან ერთად, ერთ პროგრამაში უნდა გვეკვავათ. მითხრეს, რომ გაკვეთილს თქვენ და ალექსეიც შემოუერთდებოდით. ეს დიდებული ამბავი იყო! დიდი თეატრის ორი ვარსკვლავი მუშაობდა და ირჯებოდა 12-16 წლის მოსწავლეებთან, რომლებიც ბალეტის გაკვეთილზე კვირაში ერთხელ, ან ორჯერ დადიოდნენ. ისინი გაოგნებულები იყვნენ იმ ფაქტით, რომ ასეთ გამორჩეულ და ცნობილ მოცეკვავეებთან ერთად ერთ სტუდიაში იმყოფებოდნენ. მახსოვს, როგორი თბილი და კეთილი იყავით თითოეული ჩვენთაგანის მიმართ. სწორედ მაშინ სამუდამოდ შემეყვარდით.

თქვენ ნორვეგიის ნაციონალური ბალეტისთვის ათი წლის განმავლობაში „მუდმივი მოწვეული ვარსკვლავი“ გახდით, რომლის დროსაც სცენაზე დიდებული ბალერინა იყავით. მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში, სცენის მიღმა და სტუდიაში, არასოდეს გვაგრძნობინებდით ამას. ჩვენთან, თქვენ, რასაკვირველია, ყველა თქვენი სახასიათო პარტია იცეკვებოდა: ოდეტა-ოდელია, კიტრი და კონკია. მაგრამ, თქვენთვის სრულიად განსხვავებული როლებითაც სცდიდით თქვენს თავს. არასოდეს დამავიწყდება თქვენი „Moon Reindeer“, ან მის ჯული ბირგიტ კულბერგის ბალეტებში, არც თქვენი ცეკვა რუდი ვან დანციგის Four Last Songs-ში.

მე და ერიკი დიდად ვართ დავალეხული თქვენდამი იმისთვის, რასაც ამ წლების განმავლობაში აკეთებდით ჩვენთვის, თქვენი სასცენო მოღვაწეობის დროს და განსაკუთრებით, იმისთვის, რასაც გვიზიარებდით, როგორც ძვირფასი მეგობარი თქვენი სიყვარულით სიცოცხლისა და ხელოვნების მიმართ, თქვენი ენთუზიაზმით, იუმორით და სხვა ადამიანებისადმი თანაგრძნობით. დიდი დანიელი მესტროს, ბურნონვილის მიმართ ჩვენი საერთო სიყვარული კიდევ ერთი კავშირი იყო ჩვენს შორის. ჩვენ მაღლობელნი ვართ, რომ ეხმარებით ახალგაზრდა ქართველ მოცეკვავეებს, გაეცნონ ბურნონვილის ტრადიციას და ისწავლონ, როგორ უნდა იცეკვონ ბურნონვილის სტილით – როგორც ამას თქვენ თავად აკეთებდით მაშინ, როდესაც ძალიან ახალგაზრდა მოცეკვავე კოპენჰაგენში ჩახვედით განათლების მისაღებად.

ნინო, ჩვენ ძალიან გვიყვარხართ და მოუთმენლად ველით თქვენი 30 წლიანი სასცენო მოღვაწეობის იუბილის თქვენთან, გრიგოლთან და თქვენს საბალეტო დასთან ერთად აღნიშვნას თბილისში.

Dear Nina, I still remember when we first met 20 years ago in a small Norwegian town way up beyond the polar circle: Tromsø. I shall never forget it. I had recently started my job as artistic director in Oslo for The Norwegian National Ballet and was going to give a class to young ballet students in Tromsø in connection with a big event in the evening, where the two Russian stars – that was you and Alexei – were going to dance in a program together with dancers from The Norwegian National Ballet. I was told, that you and Alexei were going to join the class. That was fantastic! There you were, two star dancers from Bolshoi, working and sweating with those 12-16 year old students, who went to ballet class just once or twice a week. They were almost paralyzed by the fact, that they were sharing the studio with such famous and exceptional dancers. And I remember how sweet and kind you were to us all. There I lost my heart to you completely, and you have had it ever since!

You became a “permanent guest artist” with The Norwegian National Ballet for ten years, where you were the absolute ballerina on stage, but never behaved like one in the daily life behind stage and in the studios. You danced of course all your signature roles with us: Odette, Odile, Kitri, Cinderella – but you also challenged yourself with completely different roles. I will never forget your Moon Reindeer or your Miss Julie in Birgit Cullberg’s ballets or your dancing in Rudi van Dantzig’s Four Last Songs.

Eric and I are in great debt to you for all what you have been giving us through these years, through your performances on stage, always, but even more through sharing with us as a dear friend your passion for life and art, your enthusiasm, your humour and your total engagement in other people. Our common love for Bournonville, the great danish master, has been another bond between us, and we are grateful that you now encourage the next generation of dancers in Georgia to get acquainted with the Bournonville tradition and to learn how to dance in the right Bournonville style – just like you, yourself, did as a very young dancer by going to Copenhagen to study.

We love you, Nina, and we are looking forward to celebrating your 30th Anniversary-on-stage together with you, Gregory and your company in Tbilisi.

## Dinna Bjørn

*Artistic director of Finnish National Ballet, 2001-2008*

*Artistic director of Norwegian National Ballet, 1990-2001*

დინა ბიორნი,  
ფრენკ ანდერსენი,  
ნინო ანანიაშვილი,  
სებასტიან კლობორგი.  
„გიმბირიდან  
მოსკოვამდე“ პრემიერა.  
თბილისი 2009

Dinna Bjoern,  
Frank Andersen,  
Nino Ananiashvili,  
Sebastian Kloborg.  
Premiere of *From Siberia to  
Moscow*. Tbilisi. 2009

„გიმბირიდან მოსკოვამდე“  
პრემიერის შემდეგ.  
თბილისი 2009

After a *From Siberia to  
Moscow* premiere.  
Tbilisi. 2009






## ნოელ და მერილის გონზაგა

როგორც ნინოს მეგობრების უმრავლესობამ იცის, მე და ჩემმა მეუღლემ, ნოელმა, შევქმენით ნინოსადმი მიძღვნილი საიტი [www.ananiashvili.com](http://www.ananiashvili.com). 1998 წლიდან მოყოლებული ჩვენ ინტერნეტში ვაქვეყნებთ ინფორმაციას ნინოს შემოქმედებითი მიღწევების შესახებ და ყველაფერს, რასაც კი მოვიპოვებთ. ეს არის ჩვენი მხრიდან ჩვენი უდიდესი პატივისცემის გამოხატვა ჩვენი თაობის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ხელოვანის მიმართ.

1990-იან წლებში ჩვენ გულანთებულებმა მოკრძალებული შესაძლებლობებით გადავწყვიტეთ ამ საიტის შექმნა. ჩვენ არ გვსურდა მხოლოდ ფაქტებით შემოვფარგულიყავით ჩვენი საყვარელი ხელოვანის შესახებ. ამიტომ, ჩვენ გავიცანით ნინოს მეუღლე და მენეჯერი გრიგოლ ვაშაძე. ამ შემთხვევაში, დროის სწორად შერჩევა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. გრიგოლმა გვითხრა, რომ სხვა ადამიანებიც სთხოვდნენ მათ ამგვარი საიტი შეექმნათ. ჩვენთან გასაუბრების და თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების და პირობების შეთანხმების შემდეგ, გრიგოლმა მწვანე გზა მოგვცა.

ამ საქმეში ნინოს არაერთი თაყვანისმცემელი დაგვეხმარა: მწერალმა და ბალეტის გამოცდილმა მოყვარულმა ლარი კაპლანმა შესავალი წერილი დაურთო საიტს, რომელიც დღესაც რჩება შინაარსიანი ქების, სიყვარულისა და სიზუსტის ნიმუშად. ნინა ალოვერტი პირველი იყო, რამდენიმე საბალეტო ფოტოგრაფს შორის, რომელმაც ნება დაგვრთო გამოგვეყენებინა მისი ფოტოები საიტზე. მანვე დაგვრთო ნება გამოგვეყენებინა 1996 წელს ნინოსთან ჩაწერილი მისი ინტერვიუს ინგლისური თარგმანი.

მოგვიანებით, ნინოს ერთ-ერთი ყველაზე გულმხურვალე იაპონელი თაყვანისმცემლის, იზუმი თაკაჰაშის დახმარების წყალობით, შევხვდით ჰიდემი სეტოს, ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ იაპონელ ფოტოგრაფს და



იაპონური ჟურნალის, “Dance Magazine”-ის რედაქტორს. მან გულუხვად მოგვაწოდა საკუთარი ფოტოები. ნენსი ელისონ-როლნიკმაც მოგვცა ნებართვა, რომ გამოგვეყენებინა მისი უნიკალური ფოტო – ნინო „გედების ტბის“ კოსტიუმში, პუანტებზე მოსკოვის გაყინულ ტბაზე რომ დგას.

წლების მანძილზე, ვცდილობდით, ნინოს კარიერისთვის თვალი გვედებნებინა, ვწერდით მის ყოველ სპექტაკლზე, რომელსაც კი ვესწრებოდით და ვანახლებდით საიტის ილუსტრირებულ ბიოგრაფიას. ჩვენი ყველაზე ძვირფასი მოგონებები ნინოზე შედგება სპექტაკლის შემდგომი შეხვედრებით მასთან, როდესაც ჟიზელის, ოდეტა-ოდილის, ავრორას, რაიმონდას თუ კიტრის პარტიის შესრულების შემდეგ აღფრთოვანებულები ვუერთდებოდით ნინოს თაყვანისმცემლებს, რომლებიც მას ულოცავდნენ და მადლობას უხდიდნენ მისი გასაოცარი არტისტულობის გამო.

როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, მე, ნოელს და ბალეტის უამრავ მოყვარულს გაგვიმართლა, რომ ნინო ანანიაშვილის ეპოქაში ვცხოვრობთ.

## Noel and Marylis Gonzaga

As most of Nina's fans know, my husband Noel and I created and maintain [www.ananiashvili.com](http://www.ananiashvili.com), a website dedicated to all things Nina. Since 1998, we have put online as much of the ballerina's career highlights as we could gather and observe. It is our continuing homage to one of the most cherishable artists of our generation.

In the mid-1990s, with full hearts but modest means, we had come up with the idea for the website. But being proper Orientals, we did not want simply to put up random and un-collaborated factoids about our favorite. Thus, we obtained an introduction to Gregory Vashadze, Nina's husband and manager. Timing was everything in this case. Gregory informed us that others had been urging them to start just such a site. Having checked us out and agreed on basic principles and terms of cooperation, Gregory gave us the green light.

We were aided by many of Nina's other admirers: Larry Kaplan, a writer and seasoned balletomane, penned an introduction that remains a model of highly informed praise, clarity and concision. Nina Aloverd was the first of several ballet photographers to allow us to use her photos to illustrate the site; Aloverd, who also writes extensively on dance, allowed us to publish the English translation of her 1996 interview with Nina.

Later, through Izumi Takahashi, one of Nina's most ardent Japanese fans, we met Hidemi Seto, the man behind the premiere dance lens in Japan and a founding editor of that country's Dance Magazine. He has been most generous with his images. As well, Nancy Ellison-Rollnick gave gracious permission to use her unique photo of Nina in Swan Lake costume standing on pointe on a frozen pond in Moscow.

Through the years, we have sought to keep up with Nina's career, reviewing every performance we were lucky enough attend and updating the site's illustrated bio. Our most precious memories of Nina consist of many post-performance backstage visits, when exhilarated from yet another glorious Giselle, Odette-Odile, Aurora, Raymonda or Kitri, we joined other Nina "groupies" in pouring our congratulations and thanks for her unstinting artistry.

As I've stated before, Noel and I and legions of other ballet lovers are fortunate in living in the era and aura of Nina Ananiashvili.





სოფიკო ტჩიაურელი, ნინო ანანიაშვილი, ინგა გილაური, ნინო მალაზონია, ნადეჟდა ხარაძე  
Sophiko Tchiaureli, Nina Ananiashvili, Inga Gilauri, Nino Malazonia, Nadezhda Kharadze

**საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებიდან:**

*ქართული მხატვრული ფილმი „აურზაური საღებინეთში“. კინოსტუდია „ქართული ფილმი“. 1975 წ. რეჟისორი ლანა ლოლობერიძე.*

ამ ფილმში ნინო ანანიაშვილი მთავარი გმირის - საშიკოს (კახი კავსაძე) შვილის როლს თამაშობდა. მასთან ერთად ფილმში გადაღებული არიან პატარა გეგა კობახიძე, ნინო მალაზონია, ინგა გილაური. ნინო ანანიაშვილი ამ დროს 10 წლის, საბალეტო სასწავლებლის მოსწავლე გახლდათ. ფილმში საშიკოს შვილები „არტისტკა მაკროსთან“ (ნადეჟდა ხარაძე) ერთად ცეკვავენ და იმპროვიზირებენ. ნინო ანანიაშვილს ფილმში გედის კოსტიუმი და თავსაბურავი უკეთია. ფილმის გადაღების ეპიზოდები ფოტოკამერამ აღებჭდა და დღეს პირველად ქვეყნდება.



გეგა კობახიძე, ნინო მალაზონია, ნინო ანანიაშვილი, კახი კავსაძე  
Gega Kobakhidze, Nino malazonia, Nina Ananiashvili, Kakhi Kavsadze





კახი კავსაძე, ნადეჟდა ხარაძე, სოფიკო ჭიაურელი, ცენტრში - ნინო ანანიაშვილი

Kakhi Kavsadze, Nadezhda Kharadze, Sophiko Tchiaureli, Nina Ananiashvili in the center

**From archives of Georgian State Museum of Theatre, Cinema, Music and Choreography:**

*Movie Mess in the Merry Land. Studio "Georgian Film". 1975. Directed by Lana Ghoghoberidze.*

Nina Ananiashvili portrayed daughter of protagonist Sashiko (Kakhi Kavsadze). The movie also starred young Gega Kobakhidze, Nino Malazonia, Inga Gilauri. Ananiashvili was 10 at the time, student of ballet school. Sashiko's children dance and improvise with "artistka Makro" (Nadezhda Kharadze) in the film. Ananiashvili wears a swan costume and headscarf. Photos captured during the shooting are published for the first time.





ფაჩაძე მარია  
Photo by Guram Tsibakhshvili



ქართული ბალეტის მეგობართა  
საზოგადოების წევრები  
LIST OF THE MEMBERS OF FRIENDS  
OF THE GEORGIAN BALLET

სეზონი 2011/2012 SEASON

1. ჯონ ბასი და ჰოლი ჰოლცერ ბასი John Bass and Holly Holzer Bass	ოქრო Gold
2. ლადო და ლარისა გურგენიძეები Lado and Larissa Gurgenidze	ოქრო Gold
3. ნეილ და მიშელ დანები Neil and Michele Dunn	ოქრო Gold
4. მასაიოში და ჯუნკო კამოჰარა Masayoshi and Junko Kamohara	ოქრო Gold
5. გიორგი ჭირაკაძე და სარა ვილიამსონი George Chirakadze and Sarah Williamson	ოქრო Gold
6. პოლ ჰენრი და კეროლინ ფორესტიერი Paul-Henri and Caroline Forestier	ოქრო Gold
7. ტაიბ ბარუარი Taib Barwari	ოქრო Gold
8. ფილიპ დუევი Philippe Limet Dewez	ოქრო Gold
9. მარინა ვაჩნაძე Marina Vachnadze	ოქრო Gold
10. კარენ ვოლფსონი Karen Wolfson	ოქრო Gold
11. ლენა კილაძე Lena Kiladze	ოქრო Gold
12. ქეთი მაქლეინი Cathy McLain	ოქრო Gold
13. მაია ფრენკ-ჰენიგი Maya Frank-Hennig	ოქრო Gold
14. ანდრეას ჰეიდინგსფელდერი Andreas Heidingsfelder	ოქრო Gold
15. მაკა გოცირიძე Maka Gotsiridze	ვერცხლი Silver
16. მიშელ დეროჰანესიანი Michele Derohanesian	ვერცხლი Silver
17. ელენა დიმიტროვა Elena Dimitrova	ვერცხლი Silver
18. იზაბელა და შარლოტ ემბორგები Isabella and Charlotte Emborg	ვერცხლი Silver
19. ალა თურმანიძე-კოვილი Ala Turmanidze-Cowgill	ვერცხლი Silver
20. ევა იესტრაბოვა Eva Jestrabova	ვერცხლი Silver
21. პიეტერ და მიკე ლანგენბერგები Pieter and Mieke Langenberg	ვერცხლი Silver
22. პიერ ორლოვი Pierre Orloff	ვერცხლი Silver
23. იაროსლავა (ლოლა) პეტროვა Yaroslava (Lola) Petrova	ვერცხლი Silver
24. თამარ რთველიაშვილი Tamar Rtvelishvili	ვერცხლი Silver
25. მერი ჰოლცერი Mary Holzer	ვერცხლი Silver

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დარეკოთ:  
For additional information, please call:

(995 32) 235 75 03

# მეგობარი ბალეტის

მეგობართა საზოგადოება

გთხოვთ განვერინდეთ ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებაში, რათა დაეხმაროთ ქართულ საბალეტო დასს, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ მსოფლიოში ცნობილი ბალერინა ნინო ანანიასვილი.

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების დამფუძნებლები არიან: **სილვა აკოპიანი, ლია მაჭავარიანი, ელისაბედ საღარაძე, ირინა ხომერიკი** და **ლილი ჰაუფი**. საპატიო დამფუძნებლები არიან: **მეიდა მაკლარენი** და **ინა გუდავაძე**.

მმართველობითი საბჭოს თანათამაგვდომარეები არიან: **სარა ვილიამსონი** და **მიშელ დანი**; საპატიო მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე: **მარიელა ს. ტეფტი**.

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მხარდამჭერია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველი დავით საყვარელიძე.

Please join us as members of *Friends of the Georgian Ballet* and help us to support the revitalization of this venerable ballet company under the artistic directorship of world-renowned ballerina, Nina Ananiashvili

Founders of *Friends of the Georgian Ballet* are: **Silva Akopian, Lily Hauf, Irina Khomeriki, Lia Machavariani, and Elisabed Sagaradze**. Honorary founders are: Maida MacLaren and Inna Gudavadze.

Members of the Governing Board are: Co-Chairmen **Sarah Williamson** and **Michele Dunn**; Honorary Chairman is: **Mariella C. Tefft**.

*Friends of the Georgian Ballet* is supported by Managing Director of the Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre D. Sakvarelidze.

## Friend of THE GEORGIAN BALLET



# BlackBerry®



BlackBerry® BOLD™ 9000 smartphone

BlackBerry®, RIM®, Research In Motion®, SureType®, SurePress® და სხვა დაცემული სახელწოდებები, სავაჭრო ნიშნები და ობიექტები ნაჩვენებებში Research In Motion Limited-ის საკუთრებასა და ჩვენსავე საკუთრებასა და/ან გამოყენება აპ-სა და მოდელის სხვა ქვეყნებში. გამოყენება Research In Motion Limited-ის ოცნებით.



## ბეელინი

# მეტი დრო ცხოვრებისათვის

1455-2151-3331